

2018 წელს გაწეული სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ანგარიში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

1. სამეცნიერო პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორიან გამოცემებში:

№	პუბლიკაციის ავტორი/ავტორები	ჟურნალი, ტომი, გვერდი	პუბლიკაციის დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI
1	Charaia Vakhtang Papava Vladimer Wang Fanmei	Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, Vol. 12, No. 1, გვ. 153-160	არ აქვს
2	Charaia Vakhtang Papava Vladimer	Annals of Agrarian Science, Vol. 16, No. 2, გვ. 201-204	https://doi.org/10.1016/j.aasci.2018.04.007
3	Ismailov Eldar Papava Vladimer	Central Asia and the Caucasus, Vol. 19, № 2, გვ. 7-17	არ აქვს
4	Papava Vladimer	European Journal of Economic Studies, Vol. 7, № 2, გვ. 109-125	DOI: 10.13187/es.2018.7.109

2. სხვა პუბლიკაციები:

№	პუბლიკაციის ავტორი/ავტორები	ჟურნალი, ტომი, გვერდი	კოდი DOI-სა და ISSN
1	აბესაძე რ. ბურდული ვ.	INTERNATIONAL JOURNAL OF NEW ECONOMICS AND SOCIAL SCIENCES (IJONESS), №7 (1)	DOI: 10.5604/01.3001.0012.1688 ISSN: 245-2145 E-ISSN:2451-1064
2	აბესაძე რ.	ქ. „ეკონომისტი“ 2018, №4	p ISSN 1987 - 6890 E ISSN 2346 - 8432
3	ასათიანი რ.	ქ. „ეკონომისტი“ 2018, №1.	p ISSN 1987 - 6890 E ISSN 2346 - 8432
4	ასათიანი რ.	ქ. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, 2018, №2.	ISSN 1512-0538
5	ასათიანი რ.	ჟურნალი „ეკონომისტი“, 2018, №4.	p ISSN 1987 - 6890 E ISSN 2346 - 8432
6	ასათიანი რ.	ქ. „მაცნე“. 2018, №2.	ISSN 0132-6058
7	ასათიანი რ.	ქ. „სოციალური ეკონომიკა“, 2018, №2.	ISSN 1987-7471
8	ასათიანი რ.	ქ. „ახალი ეკონომისტი“, 2018, №4.	ISSN 1512-4649
9	ბერულავა გ.	ქ. ბიზნეს-ინჟინერინგი, №3-4, 2018.	ISSN 1512-0538
10	ბერულავა გ.	ქ. გლობალიზაცია და ბიზნესი, № 6.	ISSN 2449-2396
11	დათუნაშვილი ლ.	ქ. „ეკონომისტი“, #1. 2018	p ISSN 1987 - 6890 e ISSN 2346 - 8432
12	თოთლაძე ლ.	ქ. „გლობალიზაცია და ბიზნესი“, 2018, #6.	ISSN 2449-2396
13	კაკულია ე.	ქ. „ეკონომისტი“ #1, 2018	p ISSN 1987 - 6890 e ISSN 2346 - 8432
14	კურატაშვილი ა.	ქ. "პროგრესი", 2018, № 3-4, გვ. 5-26.	SSN 1512-0422
15	კურატაშვილი ქ.	ქ. "პროგრესი", № 1-2. – გვ. 98-101.	SSN 1512-0422
16	კვარაცხელია მ.	ქ. „გლობალიზაცია და ბიზნესი“, #6, 2018.	ISSN 2449-2396
17	ლაზარაშვილი თ.	ქ. International Scientific journal of Business. v.1. 2018, p. 46-54.	ISSN 2587-540X

18	პაპავა ვ.	ჟ. Global Review № 2, გვ. 1-14 (ჩინურ ენაზე)	ISSN 1006-1568
19	პაპავა ვ.	ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“, № 2, გვ. 17-23	ISSN 1987-5789
20	პაპავა ვ.	ჟ. Экономика Украины, № 10, გვ. 32-52	P ISSN 2522-9311 E ISSN 2522-9486
21	ქავთარაძე თ.	ჟ. „ეკონომისტი“, #4, 2018	p ISSN 1987 - 6890 e ISSN 2346 - 8432
22	ჯავახიშვილი რ.	ჟ. „ეკონომისტი“, #1, 2018	p ISSN 1987 - 6890 e ISSN 2346 - 8432

7. სხვა შედეგები:

7.1. პუბლიკაცია საერთაშორისო კონფერენციის მასალებში

№	პუბლიკაციის ავტორი/ავტორები	კონფერენციის სახელწოდება და ჩატარების ადგილი	კოდი DOI ან ISSN
1	აბესაძე რ. ბურდული ვ.	„ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციები“ (19-20 ივნისი 2018 წ.). თბილისი, საქართველო	ISBN 978-966-926-228-8
2	აბესაძე რ.	„ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციები“. თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი	P ISBN 978-9941-13-690-0 E ISSN 2587 – 4691
3	აბესაძე რ.	„ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური და ეროვნული პრობლემები“. თსუ პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2018	P ISBN 978-9941-13-690-0 E ISSN 2587 – 4691
4	აბესაძე რ.	გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში. 27 ოქტომბერი, 2018 თსუ	ISBN 978-9941-13-764-8
5	აბესაძე რ.	– 2018: » (. ()), 19–20 2018)	ISBN 978-617-645-288-1 ISBN 978-617-645-289-8 (. 1)
6	არევაძე ნ. ბიბილაშვილი ნ.	„ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციები“. თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი	P ISBN 978-9941-13-6900 e ISSN 2587 – 4691
7	ასათიანი რ.	„ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური და ეროვნული პრობლემები“. თსუ პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2018	p ISBN 978-9941-13-690-0 E ISSN 2587 – 4691
8	ასათიანი რ.	„ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციები“. თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი	p ISBN 978-9941-13-690-0 E ISSN 2587 – 4691
9	ბერულავა გ.	„ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციები“. თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი	p ISBN 978-9941-13-690-0 e ISSN 2587 – 4691
10	ბერულავა გ.	„ეროვნული ეკონომიკის განვითარების მოდელები: გუშინ, დღეს, ხვალ“. სტუ. თბილისი	ISSN: 1512-0538
11	ბრეგვაძე გ.	„ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციები“. თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი	p ISBN 978-9941-13-690-0 e ISSN 2587 – 4691
12	ბურდული ვ.	„ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციები“. თბილისი,	ISBN 978-9941-13-690-0 E ISSN 2587 – 4691

		თსუ პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი	
13	ბურდული ვ	„ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური და ეროვნული პრობლემები“.თსუ პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2018	ISBN 978-9941-13-690-0 E ISSN 2587 – 4691
14	ბურდული ვ. აბესაძე რ.	- : , a, 2018.	ISBN 978-966-136-444-7
15	ბურდული ვ. აბესაძე რ.	: . , a	У Д К 316/352 Б Б К 67.9(4У к р) П 88
16	ბურდული ვ.	2018: 19-20 2018, , a 4/	ISBN 978-617-645-292-8
17	დავლაშერიძე ნ.	„ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციები“. თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი	Print ISBN 978-9941-13-690-0 E ISSN 2587 – 4691
18	დავლაშერიძე ნ.	„ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური და ეროვნული პრობლემები“.თსუ პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2018	E ISSN 2587 – 4691
19	დათუნაშვილი ლ.	„ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციები“. თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი	ISBN 978-9941-13-690-0 E ISSN 2587 – 469
20	დათუნაშვილი ლ.	„ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური და ეროვნული პრობლემები“. თსუ პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი თბილისი, 2018	E ISSN 2587 – 4691
21	დვალიშვილი ლ.	„ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციები“. თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი	ISBN 978-9941-13-690-0 E ISSN 2587 – 4691
22	დვალიშვილი ლ.	„ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური და ეროვნული პრობლემები“. თსუ პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2018	E ISSN 2587 – 4691
23	თეთრაული ც.	„ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციები“. თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი	ISBN 978-9941-13-690-0 E ISSN 2587 – 469
24	თოთლაძე ლ. ხუსკვიცაძე მ.	„ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური და ეროვნული პრობლემები“. თსუ პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2018	ISBN 978-9941-13-690-0 E ISSN 2587 – 4691
25	კაკულია ე.	„ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური და ეროვნული პრობლემები“. თსუ პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2018	E ISSN 2587 – 4691
26	კაკულია ე.	„ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციები“. თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი	Print ISBN 978-9941-13-690-0 E ISSN 2587 – 4691
27	კვარაცხელია მ.	„ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციები“. თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი	ISBN 978-9941-13-690-0 E ISSN 2587 – 4691
28	კვარაცხელია მ.	„გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკისა და ბიზნესში“. თბილისი, 2018.	ISSN 2449-2396
29	კურატაშვილი ა.	„ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური და ეროვნული პრობლემები“. თსუ პაატა გუგუშვილის სახ.	E ISSN 2587 – 4691

46	ცუცქირიძე მ.	„ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციები“. თბილისი, თსუ პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი	ISBN 978-9941-13-690-0 E ISSN 2587 – 4691
47	ცუცქირიძე მ.	„ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური და ეროვნული პრობლემები“. თსუ პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2018	E ISSN 2587 – 4691
48	ხუსკივაძე მ.	„ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური და ეროვნული პრობლემები“. თსუ პაატა გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი, თბილისი, 2018	E ISSN 2587 – 4691

7.2. პუბლიკაცია ეროვნული კონფერენციის მასალებში

№	პუბლიკაციის ავტორი/ები	კონფერენციის სახელწოდება და ჩატარების ადგილი	კოდი DOI ან ISSN
1	პაპავა ვ.	„ეკონომიკური მეცნიერების კრიზისი და ახალი პარადიგმების ძიება“, თბ., ევროპის უნივერსიტეტი	ISSN 2449-2396
2	ბერულავა გ.	„ეკონომიკური მეცნიერების კრიზისი და ახალი პარადიგმების ძიება“, თბ., ევროპის უნივერსიტეტი	ISSN 2449-2396
3	კვარაცხელია მ.	„ეკონომიკური მეცნიერების კრიზისი და ახალი პარადიგმების ძიება“, თბ., ევროპის უნივერსიტეტი	ISSN 2449-2396

7.4. წიგნებისა და სხვა ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

№	წიგნის ავტორები	გამომცემლობა	ISBN კოდი
1	აბესაძე რამაზ	„უნივერსიტეტის გამომცემლობა“ მე-5 გამოცემა	ISBN 978-9941-13-758-7
2	ასათიანი რ.	„სიახლე“, 2018.	ISBN 978-9941-9377-2-9
3	პაპავა ვ.	რონდელის ფონდი	ISBN 978-9941-27-876-1
4	პაპავა ვ.	რონდელის ფონდი	ISBN 978-9941-8-0050-4

სსიპ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების (ინსტიტუტის/ცენტრის) ან უნივერსიტეტთან არსებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების (ინსტიტუტის/ცენტრის) სამეცნიერო ერთეულის დასახელება (პერსონალური შემადგენლობისა და ხელმძღვანელის მითითებით):

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

სამეცნიერო ერთეულის ხელმძღვანელი: ემდ, პროფ. რამაზ აბესაძე

სამეცნიერო ერთეულის პერსონალური შემადგენლობა:

1. აბესაძე რამაზ – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, ემდ, პროფესორი
2. არევამე ნაწული – განყოფილების გამგე, აკად. დოქტორი
3. ასათიანი როზეტა – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემდ, პროფესორი
4. ბერულავა გიორგი – განყოფილების გამგე, ემდ, პროფესორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
5. ბიბილაშვილი ნანა – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, აკად. დოქტორი
6. ბრეგვაძე გიორგი – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, აკად. დოქტორი
7. ბურდული ვახტანგ – განყოფილების გამგე, ემდ, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
8. გოგოხია თემურ – მეცნიერი თანამშრომელი, აკადემიური დოქტორი
9. დავლაშვილი ნატალია – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, აკად. დოქტორი
10. დათუნაშვილი ლინა – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, აკად. დოქტორი

11. დვალიშვილი ლია – მეცნიერი თანამშრომელი
12. თაფლაძე თამარ – მეცნიერი თანამშრომელი
13. თეთრაული ციცინო – მეცნიერი თანამშრომელი
14. კაკულია ეთერ – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, აკად. დოქტორი
15. კვარაცხელია მურმან – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ემდ, პროფესორი
16. კურატაშვილი ალფრედ – განყოფილების გამგე, ემდ, პროფესორი, მთავარი მეცნიერი თანამშრომელი
17. ლაზარაშვილი თეა – განყოფილების გამგე, აკად. დოქტორი
18. მელაშვილი მედეა – მეცნიერი თანამშრომელი
19. ნოზაძე ზურაბ – მეცნიერი თანამშრომელი
20. პაპავა ვლადიმერ – მთავარი მეცნიერი თანამშრომელი, აკადემიკოსი
21. ქავთარაძე თენგიზ – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, აკად. დოქტორი
22. ქისტაური ნუნუ – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, აკად. დოქტორი
23. ქველაძე ქეთევან – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, აკად. დოქტორი
24. ჩხეიძე თინა – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, პროფესორი
25. ცუცქერიძე მარინე – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, აკად. დოქტორი
26. ხუსკივაძე მამუკა – განყოფილების გამგე, აკად. დოქტორი
27. ჯავახიშვილი რევაზი – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, აკად. დოქტორი
28. თოთლაძე ლია – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, აკად. დოქტორი
29. კურატაშვილი ქეთევან – მეცნიერი თანამშრომელი
30. სიგუა გიორგი – უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, აკად. დოქტორი

1. პროგრამული დაფინანსებით შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1.1.

№	გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით	პროექტის დაწყების და დამთავრების წლები	პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით)
1	2	3	4
<p>2. გარდამავალი (მრავალწლიანი) პროექტის დასახელება მეცნიერების დარგისა და სამეცნიერო მიმართულების მითითებით:</p> <p style="text-align: center;">„ევროინტეგრაცია და ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პრობლემები საქართველოში“</p> <p>მეცნიერების დარგი: ეკონომიკა სამეცნიერო მიმართულები - მაკროეკონომიკა, მიკროეკონომიკა, ეკონომიკური განვითარება, სექტორული ეკონომიკა</p> <p>3. პროექტის ხანგრძლივობა: 2015-2021 წწ.</p> <p>4. პროექტში ჩართული პერსონალი (თითოეულის როლის მითითებით):</p> <ol style="list-style-type: none"> 1. აბესაძე რამაზ – პროექტის ხელმძღვანელი და შემსრულებელი 2. არევაძე ნანული – შემსრულებელი, განყოფილების გამგე 3. ასათიანი როზეტა – შემსრულებელი 4. ბერულავა გიორგი – შემსრულებელი, განყოფილების გამგე 5. ბიბილაშვილი ნანა – შემსრულებელი 6. ბრეგვაძე გიორგი – შემსრულებელი 			

7. ბურდული ვახტანგ – შემსრულებელი, განყოფილების გამგე
8. გოგობია თემურ – შემსრულებელი
9. დავლაშერიძე ნატალია – შემსრულებელი
10. დათუნაშვილი ლინა – შემსრულებელი, სწავლული მდივანი
11. დვალაშვილი ლია – შემსრულებელი
12. თაფლაძე თამარ – შემსრულებელი
13. თეთრაული ციცინო – შემსრულებელი
14. კაკულია ეთერ – შემსრულებელი
15. კვარაცხელია მურმან – შემსრულებელი
16. კურატაშვილი ალფრედ – შემსრულებელი, განყოფილების გამგე
17. ლაზარაშვილი თეა – შემსრულებელი, განყოფილების გამგე
18. მელაშვილი მედეა – შემსრულებელი
19. ნოზაძე ზურაბ – შემსრულებელი
20. პაპავა ვლადიმერ – შემსრულებელი, კადემიკოსი
21. ქავთარაძე თენგიზ – შემსრულებელი
22. ქისტაური ნუნუ – შემსრულებელი
23. ქველაძე ქეთევან – შემსრულებელი
24. ჩხეიძე თინა – შემსრულებელი
25. ცუცქერიძე მარინე – შემსრულებელი
26. ხუსკივაძე მამუკა – შემსრულებელი, განყოფილების გამგე
27. ჯავახიშვილი რევაზი – შემსრულებელი, განყოფილების გამგე
28. თოთლაძე ლია – შემსრულებელი
29. კურატაშვილი ქეთევანი – შემსრულებელი
30. სიგუა გიორგი – შემსრულებელი

პროგრამის მოკლე ანოტაცია:

საქართველოს ეკონომიკაში არსებული მდგომარეობა მოითხოვს განვითარების სრულიად ახალი გზის არჩევას. პროექტის თემა ეხება სწორედ საქართველოს ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის უაღრესად მნიშვნელოვან, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ორ – ევროინტეგრაციასა და ქვეყანაში ახალი ანუ ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების პრობლემას. მისი დიდი აქტუალობა გამომდინარეობს იქიდან, რომ საქართველოს ეკონომიკური (და საერთოდ, საზოგადოებრივი) განვითარების დაჩქარება შესაძლებელია მხოლოდ ინოვაციური განვითარების გზით, რასაც ასევე მოითხოვს და ასეთი განვითარების განხორციელებას ხელს უწყობს ევროკავშირში ქვეყნის ინტეგრაციის პროცესები.

პროგრამის მიზანია შემუშავდეს საქართველოში ინოვაციური ეკონომიკის ფორმირების მოდელი, რომლის რეალიზაციაც ხელს შეუწყობს საქართველოს ეკონომიკის გადასვლას ინოვაციური განვითარების გზაზე, როგორც ევროკავშირის მოთხოვნათა და გამოცდილების გათვალისწინებით, ისე საკუთარ კვლევებზე დაფუძნებული ეროვნული სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის შექმნისა და განვითარების საფუძველზე.

გარდამავალი (მრავალწლიანი) კვლევითი პროექტის 2018 წლის ეტაპის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული შედეგების შესახებ ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე):

თსუ პ. გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის 2018 წლის სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის გეგმა

2018 წლის სამეცნიერო თემა:

**ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკაში
(ევროკავშირში შემავალი და ზოგიერთი სხვა ქვეყნის მაგალითზე)**

თემის შემსრულებლები: ინსტიტუტის ყველა განყოფილება – ეკონომიკური თეორიის განყოფილება

(ხელმძღვანელი პროფ. ალფრედ კურატაშვილი); სტრუქტურული და რეგიონული ეკონომიკის განყოფილება (ხელმძღვანელი პროფ. ვახტანგ ბურდული); ბიზნესის პრობლემათა კვლევის განყოფილება (ხელმძღვანელი პროფ. გიორგი ბერულავა); მაკროეკონომიკის განყოფილება (ხელმძღვანელი აკად. დოქტორი ნანული არევამე); საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა განყოფილება (ხელმძღვანელი აკად. დოქტორი რევაზ ჯავახიშვილი); ფინანსებისა და საბანკო საქმის განყოფილება (ხელმძღვანელი აკად. დოქტორი თეა ლაზარიშვილი); ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის განყოფილება (ხელმძღვანელი აკად. დოქტორი მამუკა ხუსკივაძე) და ყველა მთავარი, უფროსი და მეცნიერი თანამშრომელი.

გეგმური თემები და შემსრულებლები:

1. ალტერნატიული ენერჯეტიკა (ემდ, პროფ. რამაზ აბესაძე);
2. ორგანული ქიმიის, როგორც მაღალი ტექნოლოგიის, გამოყენება ეკონომიკაში (ემდ, პროფ. რამაზ აბესაძე);
3. მაღალი ტექნოლოგიები ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში (აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა);
4. სოციალურ-სამართლებრივი ტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკის სახელმწიფო მართვაში (ემდ, პროფ. ალფრედ კურატაშვილი, ქეთევან კურატაშვილი);
5. ინოვაციური მასალების წარმოება და გამოყენება ეკონომიკაში (ემდ, პროფ. ვახტანგ ბურდული);
6. თავდაცვითი და ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკაში (ემდ. პროფ. გია ბერულავა, აკად. დოქტორი თემურ გოგობია, აკად. დოქტორი მარინე ცუცქირიძე);
7. ქსელური ტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკაში (ემდ. პროფ. გიორგი ბერულავა, აკად. დოქტორი ეთერ კაკულია);
8. ინოვაციური ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზარი (აკად. დოქტორი რეზო ჯავახიშვილი);
9. ნანოტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკაში (აკად. დოქტორი ნანული არევამე, აკად. დოქტორი ნანა ბიბილაშვილი, მეც. თანამშრომელი ციციხო თეთრაული);
10. ინფორმაციული და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკაში (აკად. დოქტორი ლაზარაშვილი თეა, მეც. თანამშრომელი მედეა მელაშვილი);
11. ეკოლოგიურად სუფთა და ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკაში (აკად. დოქტორი მამუკა ხუსკივაძე, მეც. თანამშრომელი ზურაბ ნოზაძე);
12. ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება საბანკო სექტორში (ემდ. პროფ. როზეტა ასათიანი)
13. უსაფრთხოების სისტემების, როგორც მაღალი ტექნოლოგიების, გამოყენება ეკონომიკაში (ემდ. პროფ. მურმან კვარაცხელია);
14. ბიოტექნოლოგიების, როგორც მაღალი ტექნოლოგიების, გამოყენება ეკონომიკაში; (პროფ. თინა ჩხეიძე, მეც. თანამშრომელი ლია დვალიშვილი)
15. ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება სოფლის მეურნეობაში (აკად. დოქტორი ლინა დათუნაშვილი);
16. სანავიგაციო ტექნოლოგიების გამოყენება სოფლის მეურნეობაში (აკად. დოქტორი თენგიზ ქავთარაძე);
17. ინოვაციური სოციალური ტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკაში (აკად. დოქტორი ნატა დავლაშვილიძე)
18. პროგრამული უზრუნველყოფის, როგორც მაღალი ტექნოლოგიის გამოყენება ეკონომიკაში (აკად. დოქტორი ნუნუ ქისტაური);
19. უსადენო ტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკაში (აკად. დოქტორი გიორგი სიგუა);
20. რობოტოტექნიკის, როგორც მაღალი ტექნოლოგიის, გამოყენება ეკონომიკაში (აკად. დოქტორი გია ბრეგვაძე);
21. ფოტონიკის, როგორც მაღალი ტექნოლოგიის, გამოყენება ეკონომიკაში (აკად. დოქტორი ქველამე ქეთინო);

22. ხელოვნური ინტელექტის, როგორც მაღალი ტექნოლოგიის, გამოყენება ეკონომიკაში (მეც. თანამშრომელი თავლაძე თამუნა)

ვრცელი ანოტაცია

კვლევის მიზანი და ამოცანები: კვლევის მთავარი მიზანია ევროკავშირში შემაჯავლი და ზოგიერთი სხვა ქვეყნის მაგალითზე ეკონომიკის სხვადასხვა დარგში ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების თავისებურებათა გამოკვლევა.

კვლევის ძირითადი შედეგი. კვლევის მეცნიერული შედეგი ძირითადად არის გამოყენებითი ხასიათის და ისინი საბოლოოდ აისახება პროექტის დასრულებულ ვარიანტში, გამოკვლეულია ძირითადად მაღალი ტექნოლოგიების არსი და მათი გამოყენების თავისებურები ეკონომიკის სხვადასხვა დარგში, ევროკავშირში შემაჯავლი და ზოგიერთი სხვა ქვეყნის (აშშ, იაპონია, ჩინეთი, და სხვ.) მაგალითზე. ყურადღება გამახვილებულია ისეთ ტექნოლოგიებზე და მაღალი ტექნოლოგიების დარგებზე როგორცაა: ელექტრონიკა (მიკროელექტრონიკა); პროგრამული უზრუნველყოფა; ხელოვნური ინტელექტი; უსადენო ტექნოლოგიები; რობოტოტექნიკა; ნანოტექნოლოგიები; ეკოლოგიურად სუფთა და ენერგოდამზოვი ტექნოლოგიები, ალტერნატიული ენერჯეტიკა; უსაფრთხოების სისტემები; სანავიგაციო ტექნოლოგიები; თავდაცვითი და ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიები; ბიოტექნოლოგიები; ორგანული ქიმია; ფოტონიკა; ინფორმაციული და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიები; ქსელური ტექნოლოგიები; ახალი ინოვაციური მასალები; სოციალური ტექნოლოგიები; ინოვაციური ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში და სხვ.

კერძოდ, გამოკვლეულია:

I. ალტერნატიული ენერჯეტიკის განვითარების პრობლემები.

1. თანამედროვე ეტაპზე ენერჯეტიკასთან დაკავშირებით მკაცრად დგას ორი უმნიშვნელოვანესი პრობლემა: 1. ენერგორესურსების ამოწურვისა და 2. ენერჯეტიკული დაბინძურებისაგან გარემოს დაცვისა;

2. ენერჯეტიკა ენერგორესურსების ყველაზე დიდი მომხმარებელია. დღეისათვის გამოყენებული ენერგორესურსების უდიდესი ნაწილი კი არაგანახლებადია და გარკვეული პერიოდის შემდეგ ეს რესურსი აღარ იარსებებს. ამდენად, დღის წესრიგში დგას ალტერნატიული ენერგორესურსების ძიების პრობლემა. ენერჯეტიკა ასევე გარემოს ყველაზე დიდი დამაბინძურებელია, რაც მოითხოვს ენერჯეტიკულად სუფთა ტექნოლოგიების შექმნას.

3. ალტერნატიული ენერჯეტიკა ტრადიციულისაგან განსხვავებით მოიცავს ისეთ ტექნოლოგიებს, რომელიც ორიენტირებულია ტრადიციული ენერჯეტიკის შეცვლასა და ეკოლოგიურად სუფთა წარმოების განვითარებაზე. ალტერნატიული ენერჯეტიკა ეფუძნება განახლებადი ენერგორესურსებისა (მზის, ქარის, მოქცევის, ტალღების, გეოთერმული ენერჯია, ბიომასის ენერჯია) და ზოგიერთი არაგანახლებადი რესურსების (ატომური და წყალბადის ენერჯეტიკა), ასევე ენერგოდამზოვი ტექნოლოგიების გამოყენებას. ვინაიდან წყლის ენერჯია მიეკუთვნება განახლებად ენერჯიას, ამიტომ ისიც შეიძლება ალტერნატიულ ენერჯეტიკას მივაკუთნოთ.

4. მსოფლიოში ელექტროენერჯიის გამომუშავება ჰიდროელექტროსადგურების მიერ წლითიწლობით იზრდება. ჰიდროენერჯეტიკამ 2015 წელს უზრუნველყო განახლებადი ელექტროენერჯიის 60 და მთლიანი გამომუშავების 16 პროცენტი.

5. ტერიტორიის ერთეულზე ჰიდროენერჯეტიკული რესურსების მიხედვით, საქართველო ერთ-ერთი პირველია მთელ მსოფლიოში.

6. წყლის ენერჯიის გამოყენებას საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მიუხედავად ამისა, ჰიდროენერგორესურსების გამოყენების დონე საქართველოში დაბალია.

7. ჰიდროენერჯიის გამოყენების მიხედვით მსოფლიოში ლიდერობენ – ჩინეთი, ბრაზილია, აშშ, კანადა, რუსეთი.

8. მზე ენერჯიის უზარმაზარი წყაროა. მზის ენერჯია შესაძლებელია გამოვიყენოთ როგორც სითბოს, ისე ელექტროენერჯიის გამოსამუშავებლად. მზის ენერჯიის გამოყენების მიხედვით მსოფლიოში ლიდერობენ: გერმანია, იტალია, აშშ, ჩინეთი, იაპონია, მზის კონცენტრატების მიხედვით – ესპანეთი, აშშ,

ალჟირი, ეგვიპტე/მაროკო, ავსტრალია.

9. საქართველოს ტერიტორია მიჩნეულია ისეთ ტერიტორიად, სადაც მზის რადიაციის გამოყენება ენერჯის წყაროდ ეკონომიკურად გამართლებულია. ამისათვის საუკეთესო პირობებია შავი ზღვის მიმდებარე ტერიტორიებზე, ასევე, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს დაბლობ და კავკასიონის მაღალმთიან რაიონებში.

10. ქარის ენერჯიას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მსოფლიო ბუნებრივი რესურსების საერთო ბალანსში. ქარის ელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრე მსოფლიოში თანდათან იზრდება.

11. დღეს ქარის ენერჯიის გამოყენების ერთ-ერთ ყველაზე წარმატებული ქვეყანაა დანია, სადაც ელექტროენერჯიის 28% სწორედ ქარის ენერჯიისაგან მიიღება და 2020 წლისათვის ამ მაჩვენებლის 50%-მდე გაზრდა იგეგმება. ამჟამად აქ 1500-მდე ქარის ელექტროსადგურია.

II. ორგანული ქიმიის, როგორც მაღალი ტექნოლოგიის, დანიშნულება და ორგანულ ნაერთთა წარმოებისა და გამოყენების საკითხები. თანამედროვე ეტაპზე ორგანული ქიმიის მნიშვნელობა ძალზედ დიდია, მისი მიღწევების გამოყენების გარეშე შეუძლებელია ეკონომიკის, მისი თითქმის ყველა დარგის ეფექტიანი ფუნქციონირება. განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს იგი ისეთ დარგებში, როგორიცაა: სათბობისა (ნავთობის, ბუნებრივი აირის, ქვანახშირის, საწვავი ფიქალისა და ხის გადამამუშავება, სხვადასხვა საწვავის სინთეზი და ა.შ.) და კვების მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, საღებავების, ვიტამინების, სინთეზური კაუჩუკის, რეზინის, ბოჭკოების, პლასტმასებისა და სხვ. წარმოება. ორგანული ქიმიის ყველაზე დიდი დანიშნულებაა ის, რომ აქ წარმოებული პროდუქცია არის ინოვაციური ხასიათის, რომელთა გამოყენება დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე.

III. მაღალი ტექნოლოგიების შექმნისა და გამოყენების გამოცდილება ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. კვლევამ აჩვენა, რომ: 1. ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვის, სამწუხაროდ, დამწვევი ზრდის ტიპი არ არის დამახასიათებელი, მათთვის პრიორიტეტულია, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონი გახდეს ტექნოლოგიური ინოვაციების ჰაბი; 2. მაღალტექნოლოგიური წარმოება ძირითადად თავმოყრილია ევროკავშირის არაპოსტკომუნისტურ ქვეყნებში. ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების ჯამური მაჩვენებელი ამ მიმართებით მხოლოდ 5,24 პროცენტია. 3. ერთმნიშვნელოვნად იმის თქმა, რომ ევროკავშირის წევრობა მხოლოდ დადებითად აისახა მასში გაწევრიანებულ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მაღალტექნოლოგიური წარმოების გაფართოებაზე პრაქტიკულად შეუძლებელია. კერძოდ, აშკარად პოზიტიური ტენდენცია დამახასიათებელია ბულგარეთისთვის, ლატვიისთვის, ლიეტუვასთვის, პოლონეთისთვის, რუმინეთისთვის და სლოვაკეთის რესპუბლიკისთვის, ხოლო უარყოფითი ტენდენცია ფიქსირდება ესტონეთისთვის (მცირედით) და უნგრეთისთვის (მნიშვნელოვნად). იმავდროულად, სლოვენისთვის, ჩეხეთის რესპუბლიკისთვის და ხორვატიისთვის პრაქტიკულად არაფერი შეცვლილა. მაშასადამე, ევროკავშირის წევრობა, სულაც არ არის საკმარისი პირობა იმისთვის, რომ პრინციპული გარღვევა მომხდარიყო ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მაღალი ტექნოლოგიების განვითარების კუთხით; 4. „კომბინატორული წანამატის“ კონცეპციიდან გამომდინარე გარკვეული აზრით გაადვილებულია იმის გააზრება, რომ ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში თავმოყრილ იქნა უმთავრესად ტრადიციული ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება; 5. საქართველოსთვის. წარმატების მიღწევა მაღალტექნოლოგიური წარმოების სფეროში შესაძლებელი იქნება სახელმწიფოს მხრიდან ისეთი პროაქტიური ეკონომიკური პოლიტიკის გატარების პირობებში, რომელიც ორიენტირებული იქნება ქვეყანაში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის შექმნასა და განვითარებაზე.

IV. საბანკო სისტემაში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის სფეროში მსოფლიოში არსებული მდგომარეობა, განვითარების თავისებურებები როგორც გლობალიზაციის ახალი გამოწვევა. ეს არის უახლესი ინოვაციური ტექნოლოგიები საბანკო სისტემაში, რომლებიც ემსახურება ციფრული თაობის მოთხოვნათა დაკმაყოფილებას: ციფრული ბანკინგი, მობილური ბანკინგი, სკორინგის სისტემა, ციფრული ინოვაციური უსაფრთხოების ბიომეტრიული სისტემა, ბლოკჩეინის ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტი და ა.შ. საბანკო სფეროში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა ქვეყნის წარმატების საწინდარია. დღეს ჭეშმარიტ კონკურენტულ უპირატესობას ის ბანკები აღწევენ, რომლებიც სწრაფად აღიქვამენ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და ითვალისწინებენ გლობალიზაციის მოთხოვნებს, რაც, უპირველეს ყოვლისა, ახლებურ აზროვნებას უკავშირდება. ეს თანამედროვე გამოწვევაა ეკონომიკის ნებისმიერი დარგისთვის, საბანკო სისტემისთვის კი მნიშვნელოვანზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან მის წარმატებაზე დიდად არის დამოკიდებული არა

მხოლოდ საბანკო სისტემის, არამედ მთელი ქვეყნის ეკონომიკის განვითარება. ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას საბანკო სისტემაში მაღალი მულტიპლიკაციური ეფექტი აქვს. ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა საბანკო სისტემაში მისი ეფექტიანი ფუნქციონირების საფუძველია. იგი მყარ ნიადაგს ქმნის ამ სფეროს ოპტიმალური განვითარებისთვის, ინვესტიციების მოცულობისა და საინვესტიციო პორტფელის დივერსიფიკაციისათვის, საინვესტიციო კლიმატის გაჯანსაღებისათვის, ქვეყნის წარმოებრივი და ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისთვის. საბოლოო ანგარიშით, ეს პროცესი ხელს უწყობს სოციალური პრობლემების გადაჭრას, რომელიც ერთ-ერთი მწვავეა მთელ მსოფლიოში, მით უმეტეს საქართველოში.

V. ინოვაციური კომპოზიტური მასალების მსოფლიო ბაზრის განვითარების პრობლემები. მოცემულია კომპოზიტური მასალების კლასიფიკაცია, გამოკვლეულია მათგან ნაკეთობების (დეტალების) გამოყენება ეკონომიკის ზოგიერთ დარგში ტრადიციული მასალებიდან ნაკეთობების (დეტალების) ჩანაცვლების საფუძველზე. სისტემატიზებულია და დახასიათებულია კომპოზიტური მასალებისა და მათგან ნაკეთობების წარმოების ტექნოლოგიები. შემოთავაზებულია საქართველოში კომპოზიტური მასალების წარმოების გაფართოების ორგანიზაციულ-ინოვაციური პრობლემები.

VI. 1. თანამედროვე ეკონომიკაში ქსელური ინფორმაციული ტექნოლოგიების არსი, დანიშნულება, ძირითადი სახეობები, მახასიათებლები, კომპონენტები; **2.** ეკონომიკაში მათი გამოყენებისა და განვითარების ძირითადი მიმართულებები; **3.** ქსელური ინფორმაციული ტექნოლოგიების ეკონომიკური ასპექტები. თანამედროვე ქსელური ტექნოლოგიების მიზანია არა უბრალოდ მონაცემების დამუშავების ეფექტურობის ზრდა და მმართველის დახმარება, არამედ *მაღაღეფექტური წარმოების* შექმნა. შედეგად, თანამედროვე ქსელური ინფორმაციული ტექნოლოგიები, იქცა ნებისმიერი ბიზნესის წარმატებული განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვან ფაქტორად, ასევე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მართვის ეფექტურობის გაზრდის საშუალებად.

VII. თავდაცვითი და ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების შემუშავებისა და განვითარების პრობლემები ევროკავშირის მაგალითზე. ნაშრომში განხილულია მაღალი ტექნოლოგიების ისეთი სახეობების არსი და ეკონომიკაში გამოყენების თავისებურებები როგორცაა: **1.** თავდაცვითი ტექნოლოგიები; **2.** ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიები. შესწავლილია ამ ტექნოლოგიების ქვესახეობები; მათი მართვის მექანიზმი, ასევე ამ ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობები;

VIII. სოფლის მეურნეობაში ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების პრობლემები. გაანალიზებულია სოფლის მეურნეობაში ციფრული ტექნოლოგიის პროგრამული უზრუნველყოფის, მობილური დანართისა და საინფორმაციო ინფრასტრუქტურის, ბიოტექნოლოგიის – გენური ინჟინერიის, უჯრედული ინჟინერიის, ცხოველების იდენტური ორეულების (გენეტიკური ასლების) და ცხოველების სქესის რეგულირების გამოყენების შედეგები; განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბიოტექნოლოგიის მნიშვნელობას მავნებლების, დაავადებებისა და ჰერბიციდების მიმართ მდგრადი მცენარეების ახალი ჯიშების შექმნის თვალსაზრისით. ასევე მეცხოველეობაში პირუტყვის ძირითადი დაავადებების დიაგნოსტიკის, თერაპიისა და პროფილაქტიკისათვის გამოყენებული გენოინჟინერული შტამების, ვაქცინებისა და მონოკლონური ანტისხეულების გამოყენებით პირუტყვის დაავადებების შემცირების შესაძლებლობებს; ხაზგასმულია ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით მიღებული რიგი დადებითი შედეგები, რომელიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობაში წარმოებული სასურსათო პროდუქციის მოცულობის ზრდასა და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებასთან; განხილულია ის პრობლემები, რომლებსაც ადგილი აქვს ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ბიოტექნოლოგიების გამოყენების შედეგად წარმოებული სასურსათო პროდუქციის მოხმარების დროს;

IX. სახელმწიფო მართვაში სოციალური ინოვაციების გამოყენების პრობლემები. საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და ხალხის – ყოველი ადამიანის – ინტერესების რეალიზაციისათვის უდავოა და ექვს არ იწვევს სახელმწიფო მართვის განსაკუთრებული მნიშვნელობა. ამასთან, სახელმწიფო მართვის სისტემაში მეტად მნიშვნელოვანია ეკონომიკის სახელმწიფო მართვა სოციალურ-სამართლებრივი ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენებით, რაც უნდა ეფუძნებოდეს ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე გამიზნულ პროგრესულ მეცნიერულ-თეორიულ ბაზისს, და რაც კონკრეტულად უნდა ემსახურებოდეს ხალხის – ყოველი ადამიანის – ინტერესების რეალიზაციას. ეკონომიკის სახელმწიფო მართვაში პრინციპული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სოციალურ-სამართლებრივი ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენებით სოციალური სამართლიანობის პრობლემის გადაჭრას ევროპულ კავშირთან სამართლებრივი ადაპტაციის აუცილებლობასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნულიდან

გამომდინარე, თანამედროვე პირობებში სულ უფრო იზრდება ეკონომიკის სახელმწიფო მართვაში სოციალურ-სამართლებრივი ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენების აქტუალობა და განსაკუთრებული მნიშვნელობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ეკონომიკის სახელმწიფო მართვა ხდებოდეს ისეთი სოციალურ-სამართლებრივი ტექნოლოგიების გამოყენებით, რომლებიც ეფუძნება ხალხის ინტერესების – ჰუმანოსოციალური მიზნის – რეალიზაციაზე გამიზნულ პროგრესულ მეცნიერულ-თეორიულ ბაზისს.

X. ეკონომიკაში უსაფრთხოების სისტემების, როგორც მაღალი ტექნოლოგიების გამოყენების თანამედროვე ტენდენციები. უსაფრთხოების ახალი სისტემები საშუალებას იძლევა შევამციროთ დანახარჯები ეკონომიკური ობიექტების დაცვაზე და უზრუნველვყოთ ბიზნეს-პროცესების უსაფრთხო გარემოში წარმართვა. ამასთან დაკავშირებით გაანალიზებულია ასეთი სისტემის სახეები და გამოყენებული ინოვაციური ტექნოლოგიები.

XI. მსოფლიოსა და მის ზოგიერთ ქვეყანაში ნანოტექნოლოგიების, როგორც მაღალი ტექნოლოგიების შემუშავებისა და გამოყენების პრობლემები. ნანოტექნოლოგიები განხილული, როგორც ახალი ტექნოლოგიური წყობის საფუძველი. შემოთავაზებულია “ნანოტექნოლოგის”, როგორც ტერმინის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის ცდა. ნანოტექნოლოგიების და მათი შემდგომი კონვერგენციის საფუძველზე დახასიათებულია ნანოტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული ზოგიერთი სოციალური, ეთიკური და ეკონომიკური რისკი. გამოთქმულია ვარაუდები მის განვითარებასა და პერსპექტიულ გამოყენებასთან დაკავშირებით ახალი ტექნოლოგიური წყობის პირობებში. ნანოტექნოლოგიების უპირატესობა არსებულთან შედარებით აშკარაა, რამდენადაც მას გააჩნია კაცობრიობის მტანჯველი ბევრი პრობლემის გადაწყვეტის რეალური შესაძლებლობა, თუმცა მას ბევრი გამოვლენილი და ჯერაც დაუზუსტებელი უარყოფითი მხარეც აქვს, რომელთა ნაწილი ადამიანისათვის ძალზე სახიფათო შეიძლება აღმოჩნდეს.

XII. ინოვაციური ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზრის არსი და თავისებურებები. სათანადო სტატისტიკური მასალების ანალიზის საფუძველზე მასში გაანალიზებულია ახალი ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზრის თანამედროვე მდგომარეობა, მისი დინამიკა და სტრუქტურა, გეოგრაფიაში მომხდარი ცვლილებები და განსაზღვრულია მისი განვითარების პერსპექტივები, რომლის ძირითად მიმართულებებად მიჩნეულია ინოვაციური მანქანა-მოწყობილობის, სატრანსპორტო-კომუნიკაციური და საინფორმაციო ტექნოლოგიების, მობილური ინტერნეტისა და რობოტოტექნიკის ბაზრის პრიორიტეტული განვითარება, აგრეთვე ლიცენზიებისა და პატენტების საერთაშორისო გაცვლის აქტივიზაცია.

XIII. ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების ანუ ე. წ. „მწვანე“ ტექნოლოგიების არსი და მათი გამოყენების სფეროები. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია მრეწველობაზე, ტრანსპორტზე, ენერგეტიკასა და სოფლის მეურნეობაზე, როგორც გარემოს ყველაზე მეტად გამაჭუჭყიანებელ სფეროებზე. გაშუქებულია ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების როლო ეკოლოგიურად ორიენტირებული ეკონომიკის ფორმირებასა და მდგრადი განვითარების ტრანექტორიაზე გადასვლაში. გაანალიზებულია „მწვანე ტექნოლოგიების“ შექმნის, გადაცემის და ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმი. დახასიათებულია ტოპ-10 ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგია და ტოპ-10 ეკოლოგიურად სუფთა მწარმოებელი. განხილულია ევროკავშირის ზოგიერთ წამყვან ქვეყანაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კორეა და ჩინეთში სახელმწიფო პოლიტიკა ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების ფორმირებასა და დანერგვაში. ნაშრომში გაკეთებულია დასკვნა, რომ გლობალური ეკოლოგიური პრობლემების, განსაკუთრებით სითბური ეფექტის დაძლევის და ზოგადად პლანეტაზე ეკოლოგიური მდგომარეობის ნორმალიზების მიზნით, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების გამოყენება არის უალტერნატივო გზა და როგორც განვითარებულმა, ისე განვითარებადმა ქვეყნებმა (მათ შორის საქართველომ) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიებისა და ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ამ საკითხებს.

XIV. ევროკავშირის მაგალითზე ინფორმაციული ტექნოლოგიების დანიშნულება თანამედროვე ეკონომიკის ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის. საზოგადოების განვითარებაში ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი მდგომარეობს საზოგადოების მიერ ახალი ცოდნის მიღების, გავრცელებისა და გამოყენების პროცესების დაჩქარებაში. ცივილიზაციის განვითარების ისტორიაში მოხდა რამოდენიმე ინფორმაციული რევოლუცია, როდესაც კარდინალურმა ცვლილებებმა ინფორმაციის დამუშავების სფეროში გამოიწვია საზოგადოებრივო ურთიერთობების გარდაქმნა. შეიქმნა ინფორმაციის შექმნის, დამუშავებისა და გადაცემის ავტომატიზირებული საშუალებები. ამ წლებში მოხდა ინფორმაციული

საზოგადოების კონცეფციის ფორმულირება. ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზარი ერთ-ერთ მნიშვნელოვან და აქტიურად ფორმირებად ბაზრად რჩება მსოფლიო ეკონომიკაში. შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაცია თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში წარმოადგენს უნიკალურ საქონელს, რომლის თვისება კარდინალურად განსხვავდება სხვა მსოფლიო ბაზარზე მიმოქცევადი

XV. უსაღენო მაღალი ტექნოლოგიების ეკონომიკაში გამოყენების პრობლემები. შემოთავაზებულია სატელეკომუნიკაციო ქსელების კლასიფიკაცია (ფიქსირებული, მობილური და უნივერსალური უსაღენო წვდომის ქსელები) და ამ ქსელების მახასიათებლები და უპირატესობები სადენიან ქსელებთან შედარებით; წარმოდგენილია ამ ტექნოლოგიების განვითარების დინამიკა და მასშტაბები მსოფლიოს რეგიონებსა და საქართველოში. ნაჩვენებია სამომავლო ტენდენციები, შესაძლებლობები და პერსპექტივები საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ სფეროებში, როგორცაა: საჯარო სექტორი (ელექტრონული მმართველობა, ელექტრონული არჩევნები, ციფრული სერვისები და სხვა), სოციალური სფერო (განათლება, ჯანდაცვა, მეცნიერული კომუნიკაციები), ეკონომიკა (წარმოება, საფინანსო-საბანკო სექტორი, ტრანსპორტი და ლოგისტიკა).

XVI. ეკონომიკაში ინოვაციური სოციალური ტექნოლოგიების გამოყენების თეორიული ასპექტები. გამოვლენილია ინოვაციური სოციალური ტექნოლოგიების არსი. ხაზგასმულია, რომ ინოვაციური სოციალური ტექნოლოგიები - ესაა საზოგადოებაში ინოვაციების შექმნაზე მიმართული საქმიანობის მეთოდები და საშუალებები, რომლებსაც მიყვავართ სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში ხარისხობრივ ცვლილებებამდე, ასევე მატერიალური და სხვა რესურსების რაციონალურ გამოყენებამდე. აგრეთვე მოცემულია სოციალური ტექნოლოგიების კლასიფიკაცია, პირობები და მიზეზები, ნაჩვენებია მათი გამოყენების თანამედროვე მაგალითები, განსაკუთრებით, ეკონომიკის სფეროში.

XVII. პროგრამული უზრუნველყოფის, როგორც მაღალი ტექნოლოგიების სექტორის ძირითადი კომპონენტის ეკონომიკაში გამოყენების პრობლემები. იგი მრავალი სახის პროგრამას აერთიანებს, რომლებიც ძირითადად სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: სისტემური, გამოყენებითი და ინსტრუმენტული; განხილულია ე.წ. „დრუბლოვანი ტექნოლოგიები“, რომლებიც „მესამე პლატფორმის“ საფუძველში დევს. საერთაშორისო, კვლევითი და კონსალტინგური კომპანია IDC (International Data Corporation)-ის მონაცემებით, 2016 წელს მსოფლიოში „დრუბლოვან მომსახურებებზე“ დანახარჯებმა 100 მლნ დოლარი შეადგინა; გამოყოფილია რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც ხელს უწყობს „მესამე პლატფორმის“ ბაზაზე სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებას; გაანალიზებულია პროგრამული უზრუნველყოფის ბაზრის თანამედროვე მდგომარეობა. თუ ბოლო დრომდე ამ ბაზარზე ძირითადად ამერიკული კომპანიები ფუნქციონირებდნენ, დღეს მათ კონკურენციას ჩინური და ინდური კომპანიები უწევენ და საკმაოდ წარმატებითაც. განხილულია დღეისათვის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა - პროგრამული მეკობრეობა, რაც უზარმაზარ არამართო ფინანსურ, არამედ მორალურ ზიანს აყენებს პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზირებული პროგრამების მწარმოებელ კომპანიებს.

XVIII. რობოტოტექნოლოგიების ეკონომიკაში გამოყენების საკითხები. დღევანდელი საზოგადოება წარმოდგენილია რობოტების გარეშე. ისინი უკვე მოიცავენ ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროს. რობოტები გამოიყენება წარმოებაში, სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობაში, მომსახურებაში, საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე, ტრანსპორტში, კავშირგაბმულობაში, ჯანდაცვაში, განათლებაში, ოჯახებში და მოხუცთა თავშესაფრებში. უკვე შექმნილია და მიმდინარეობს ხელოვნური ინტელექტის მქონე რობოტების სრულყოფა. ეს არის ინოვაციური გარღვევა და წინსვლა, რასაც შეუძლია რადიკალურად შეცვალოს საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური სფერო. განხილულია მსოფლიოში რობოტოტექნიკის ბაზრის არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები.

XIX. ტექნოლოგიური წყობის ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულება, როგორცაა ფოტონიკა. იგი გამოიყენება მეტნაკლებად ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორში. გაანალიზებულია ფოტონიკის თავისებურებანი და განვითარების თანამედროვე ტენდენციები. ფოტონიკის პროდუქტის წარმოების ძირითადი ცენტრებია იაპონია, ჩინეთი, სამხრეთ კორეა, ტაივანი, გერმანია, ჩრდ. ამერიკა. დღეისათვის მისი პრაქტიკული გამოყენების დაახლოებით 50 მიმართულებაა ჩამოყალიბებული;

XX. „ბიოტექნოლოგიის“ არსი და მისი როგორც მაღალი ტექნოლოგიის ეკონომიკაში გამოყენების პრობლემები. განვითარების საფუძვლები და ისტორია, გამოყოფილი და დახასიათებულია განვითარების ხუთი ეტაპი; შესწავლილია ბიოტექნოლოგიების ეკონომიკაში გამოყენების სფეროები.

„ბიოტექნოლოგიის“ არსი და მისი როგორც მაღალტექნოლოგიის განვითარების ისტორია, განვითარების საფუძვლები. განხილულია აღნიშნული ისტორიის განვითარების ხუთი ეტაპი ანუ ერა. „ბიოტექნოლოგია“ ეხება სახალხო მეურნეობის ყველა დარგს, რის გამოც მიღებულია ბიოტექნოლოგიის ფერადი კლასიფიკაცია: „წითელი“, „მწვანე“, „ყვითელი“, „ლურჯი“ და „რუხი“.

XXI. სოფლის მეურნეობაში სანავიგაციო ტექნოლოგიების გამოყენების პრობლემები, გლობალური სანავიგაციო ტექნოლოგიები არის სწრაფმზარდი ინოვაციური ინდუსტრია, რომელსაც არც თუ დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი პირდაპირ გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. გამოკვეთილია ამ ტექნოლოგიების უპირატესობა მიწათმოყვობასა და მიწათსარგებლობაში დაკვირვებითი სამუშაოების ჩატარების დროს, კერძოდ, თანამგზავრული დიფერენცირებული ქვესისტემების მეშვეობით სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ალგორითმული უზრუნველყოფა. დიდია გლობალური სანავიგაციო სატელიტური სისტემების მნიშვნელობა, როგორც კომერციული, ისე არაკომერციული მომხმარებლებისათვის. ყურადღება გამახვილებულია სანავიგაციო ტექნოლოგიის ინოვაციურ პროექტზე. ეს არის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ტექნოლოგიური, ტექნიკური და ფინანსურეკონომიკური დოკუმენტების კრებული, რომლებიც აუცილებელია სანავიგაციო ტექნოლოგიების ასათვისებლად კონკრეტულ საწარმოებში ან სამეურნეო სუბიექტების კომპლექსში. დასაბუთებულია საქართველოს სოფლის მეურნეობაში სანავიგაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობები.

XXII. ხელოვნური ინტელექტის, როგორც მაღალტექნოლოგიური სექტორის პრობლემები. ყურადღება გამახვილებულია მის პრაქტიკულ გამოყენებაზე, როგორც ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის ახლებურ საშუალებაზე, როგორებიცაა: ხმოვანი და ვიზუალური ანალიზი, დაავადებათა ამოცნობა, მომხმარებლისთვის პერსონალიზირებული სერვისის შექმნა და სხვ. განხილულია ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციის ძირითადი საფეხურების – პრობლემის შერჩევა, ეფექტურობის კრიტერიუმების დადგენა, მონაცემების შეგროვება, ხელოვნური ინტელექტის მოდელის შერჩევა-გაწრთვინა და ინტეგრაცია. გაანალიზებულია ხელოვნური ინტელექტის განვითარებისა და დანერგვის საერთაშორისო მდგომარეობა, ყურადღება გამახვილებულია მსოფლიო ლიდერებზე - აშშ, ჩინეთი, ევროკავშირი. ასევე შესწავლილია სხვადასხვა ტექნიკურ-ეკონომიკური თუ მორალური პრობლემა, რომლებიც ასოცირებულია ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან.

5. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა საქართველოში

4.1. მონოგრაფიები/წიგნები

№	ავტორი/ავტორები	მონოგრაფიის/წიგნის სათაური, საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდებისრაოდენობა
1.	პაპავა ვლადიმერ	ISBN 978-9941-27-876-1	რონდელის ფონდი თბილისი	
1.	პაპავა ვლადიმერ	ISBN 978-9941-8-0050-4	რონდელის ფონდი თბილისი	

პაპავა ვ. დამწვევი და ჩამორჩენილი ზრდა – ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების გამოცდილება და საქართველო. (Catching Up and Falling Behind: The Experience of the Post-Communist Countries of the European Union and Georgia).

ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჰქონდა ევროკავშირში გასაწევრიანებლად საჭირო მოსამზადებელ თითქმის ათწლიან პერიოდს, რომელიც დაეთმო ეკონომიკის რესტრუქტურისა და საწარმოო დანახარჯების შემცირებისა და წარმოების თვისებრივი განახლების მიზნით. სამწუხაროდ, ამ ქვეყნებმა ვერ შეძლეს საკუთარი ეროვნული ინოვაციური სისტემების შექმნა, რადგანაც მზრმანებლური ეკონომიკიდან მემკვიდრეობით მიღებული ინოვაციური პოტენციალი ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აითვისეს. კომბინატორული წანამატის პროცესმა ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში განსაკუთრებული სპეციფიკით იჩინა თავი, როცა ძველი და ახალი ტექნოლოგიები არა უბრალოდ სხვადასხვა დარგსა თუ

ქვედარგში “თანაარსებობენ”, არამედ გეოგრაფიულადაც დაშორდნენ ერთმანეთს: ახალი ტექნოლოგიები უმთავრესად ზოგიერთ დასავლეთევროპულ ქვეყანაში იქნა კონცენტრირებული, ძველი ტექნოლოგიები კი უმთავრესად ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების ხვედრად იქცა.

პაპაფა ვ. ეკონომიკური ზრდის შეფასება ევროკავშირის პოსტკომუნისტურ და აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში (Assessment of Economic Growth in the Post-Communist Members of the European Union and the Eastern Partnership States) თ.).

ევროკავშირის არაკომუნისტური წარსულის მქონე ქვეყნებისა და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტური წარსულის მქონე ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას შორის განსხვავების რაოდენობრივი შეფასებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მკვეთრი ზრდის ეფექტის გამორიცხვას. ამ მიზნით შესაძლებელია იმ მეთოდის გამოყენება, რომელიც ეფუძნება პროპორციული გადაფარვის ჰიპოთეზას. თითოეული ქვეყნის მიხედვით ეკონომიკური ზრდის ტიპის მეტი სიზუსტით შესწავლის მიზნით, მას შემდეგ, რაც მოხდება მკვეთრი ზრდის ეფექტის გამორიცხვა, საჭიროა მაჩვენებელთა სპეციალური სისტემის გამოყენება.

4. 2. სახელმძღვანელოები

№	ავტორი/ავტორები	სახელმძღვანელოს სახელწოდება, საერთაშორისო სტანდარტული კოდი - ISBN	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვერდების რაოდენობა
1	რამაზ აბესაძე	ეკონომიკური განვითარება (მეხუთე გამოცემა) ISBN 978-9941-13-758-7	თბილისი. „უნივერსიტეტის გამომცემლობა“	227
2	ასათიანი როზეტა	საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკა. სახელმძღვანელო. ISBN 978-9941-9377-2-9	თბილისი, გამომცემლობა „სიახლე“, 2018.	

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება.

წიგნი წარმოადგენს სახელმძღვანელოს ეკონომიკური პროფილის ბაკალავრებისათვის. იგი არის მეორე გადამუშავებული გამოცემა ჩემი ავტორობით გამოცემული წიგნისა – “ეკონომიკური განვითარება” (თბილისი, “მერიდიანი”, 20046)

წარსულში, პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებში, მათ შორის, საქართველოში ეკონომიკური განვითარების პრობლემების კვლევას ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ თვისებრივი ცვლილებები ეკონომიკაში ძალიან ნელა, თითქმის შეუმჩნევლად მიმდინარეობდა და, ამიტომ, ძირითადი აქცენტი ეკონომიკური ზრდის თემატიკაზე იყო გადატანილი. ისტორიულად იგივე მიდგომა იყო მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც, ვიდრე განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა პოსინდუსტრიული განვითარების ფაზაში არ შევიდა.

სპეციალური ეკონომიკური ლიტერატურა აღნიშნულ პრობლემებზე საქართველოში თითქმის არ არსებობდა. ამ მიმართულებით აქტიური მუშაობა დაიწყო პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტში. შედეგად, 2004 წელს გამოვიდა კოლექტიური მონოგრაფია, ხოლო შემდგომ წლებშიც არაერთი ნაშრომი გამოქვეყნდა ჩემ მიერ აღნიშნულ პრობლემატიკაზე. წინამდებარე წიგნს სწორედ ავტორის მიერ წლების განმავლობაში შესრულებული ნაშრომები და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაწეული პედაგოგიური საქმიანობა უდევს საფუძვლად.

ტერმინი “ეკონომიკური განვითარება” აღიქმება ორგვარი გაგებით. პირველის მიხედვით, ის არის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს ეკონომიკაში, მეორე გაგებით კი არის ეკონომიკური დისციპლინა, რომელიც

შეისწავლის ამ პროცესებს.

ჩვენი ინიციატივითა და მაკროეკონომიკის კათედრის მხარდაჭერით თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ეკონომიკურ მიმართულებაზე შემოღებულ იქნა საგნები “ეკონომიკური განვითარება” და “ეკონომიკური განვითარების თეორია”. უნდა აღინიშნოს, რომ ეს საგნები მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვან უმაღლეს სასწავლებელში ისწავლება, მაგრამ უმეტესობა სახელმძღვანელოებისა (მაგალითად, Michael P. Todaro, Stephen C. Smith. Economic Development (11th Edition)) ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე, რაც, ჩვენი აზრით, არასწორია, ვინაიდან ეკონომიკურ განვითარებას ადგილი აქვს არა მხოლოდ განვითარებად ქვეყნებში, არამედ ნებისმიერ ეკონომიკურ სისტემაში. აქ ერთმანეთისაგან მხოლოდ ეკონომიკური განვითარების მიზნები და ამოცანები განსხვავდება. “ეკონომიკური განვითარების” (“Economic Development”, «Экономическое Развитие») ტერმინის ნაცვლად ზოგჯერ გამოიყენება ტერმინი “განვითარების ეკონომიკა (“Economic Development”, «Экономическое Развитие»«Экономика Развития»”, რაც მიუღებელია, ვინაიდან იგი აზრობრივად გაუგებარია, რადგანაც განვითარებას ეკონომიკა არ გააჩნია. ეკონომიკა შეიძლება ჰქონდეს ქვეყანას (საქართველოს ეკონომიკა), მრეწველობას (მრეწველობის ეკონომიკა), მშენებლობას (მშენებლობის ეკონომიკა), ვაჭრობას (ვაჭრობის ეკონომიკა), ფირმას (ფირმის ეკონომიკა) და ა. შ., მაგრამ არა განვითარებას.

ხშირად სამეცნიერო ბრუნვაში გამოიყენება გამოთქმები: “უარყოფითი განვითარება”, “უარყოფითი ზრდა”. მიგვაჩნია, რომ გადატანითი მნიშვნელობით ასეთი გამოთქმების გამოყენება შესაძლებელია უფრო პუბლიცისტურ სტატიებში. სამეცნიერო ნაშრომებში კი მათი გამოყენება არასასურველია. ვინაიდან ეკონომიკურ მეცნიერებაში “განვითარება” და “ზრდა” მხოლოდ დადებით პროცესებთანაა ასოცირებული. ამიტომ “უარყოფითი განვითარების” ნაცვლად მისაღებია ვიხმართ “რეგრესი”, “უარყოფითი ზრდის” ნაცვლად კი “დაქვეითება”.

ეკონომიკური განვითარების პრობლემებს საზღვარგარეთ მრავალი ნაშრომი ეძღვნება მისი ცალკეული მხარეები (განსაკუთრებით, პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკური განვითარებისა), ასევე შესწავლილია ქართველ ეკონომისტთა შრომებშიც.

ეკონომიკური განვითარების შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისათვის, ვინაიდან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეკონომიკის ტრანსფორმაციის დროს დაშვებული იქნა მრავალი შეცდომა, რის გამოც მეტად თუ ნაკლებად სრულყოფილ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ვერ მოხერხდა. რეფორმების ასე გაგრძელება სასურველ შედეგს ვერ მოიტანს, არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრა და სწორ გზაზე გასვლა ვერ მოხერხდება თვითდინებით. მთავარი ყურადღება ეკონომიკურ განვითარებაზე, ანუ ეკონომიკის თვისებრივ სრულყოფაზე უნდა იქნეს გადატანილი. ეს კი განხორციელდება ქვეყანაში ახალი, ანუ ინოვაციური ეკონომიკის მშენებლობის გზით.

4.5. სტატიები ISSN-ის მითითებით

№	ავტორი/ავტორები	სტატიის სათაური, ISSN	ჟურნალის, კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემის ადგილი, გამომცემლობა	გვ-ბი
1	აბესაძე რ. ბურდული ვ.	NATIONAL, REGIONAL AND SUPRANATIONAL COORDINATION OF THE REGIONAL INNOVATION POLICY IN THE EU COUNTRIES DOI: 10.5604/01.3001.0012.1688 ISSN: 245-2145 E-ISSN:2451-1064	”INTERNATIONAL JOURNAL OF NEW ECONOMICS AND SOCIAL SCIENCES“, № 7 (1)	International Institute of Innovation Science , 7 (1) პოლონეთი	
2	აბესაძე რ.	p ISSN 1987 - 6890 E ISSN 2346 - 8432	ჟ. „ეკონომისტი“, 2018, №4	თბ, თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა	
3	აბესაძე რ.	ალტერნატიული ენერჯეტიკა ISSN 1987–6904	თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის სამეც. შრომების კრებული. ტ. XI	თბ., პ. გუგუშვილის სახ. ეკონ. ინსტიტუტის გ-ბა 2018	15

4	აბესაძე რ.	ორგანული ქიმიის, როგორც მაღალი ტექნოლოგიის, გამოყენების თავისებურებები ეკონომიკაში. ISSN 1987-6904	თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის სამეც. შრომების კრებული. ტ. XI	თბ., პ. გუგუშვილის სახ. ეკონ. ინსტიტუტის გ-ბა 2018	
5	არევაძე ნანული ბიბლიაშვილი ნანა	კორეის რესპუბლიკის ინოვაციური სისტემის თავისებურებები p ISSN 1987 - 6890 e ISSN 2346 - 8432	ქ. „ეკონომისტი“ ტომი XIV, 1, 2018	თბ, თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა	
6	ასათიანი როზეტა	PublicSector Economics and “New Neoclassic Synthesis” p ISSN 1987 - 6890 e ISSN 2346 - 8432	ქურნალი „ეკონომისტი“ 2018, №1.	თბ, თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის გამომცემლობა	
7	ასათიანი როზეტა	საქართველოს საკურორტორეკრეაციული პოტენციალი და ტურიზმი: მიღწევები, პერსპექტივები. ISSN 1512-0538	ქ. „ბიზნეს-ინჟინერი-ნგი“, თბ., 2018, №2.		
8	ასათიანი როზეტა	ეკონომიკური თეორია როგორც ეკონომიკური პოლიტიკის ჩამოყალიბების საფუძველი და განმსაზღვრელი (ისტორიულ-ეკონომიკური ანალიზი)	ქ. „მაცნე“, 2018, №2.	თბ., საქართველოსმეცნიერებათაეროვნულიაკადემია.	
9	ასათიანი როზეტა	„ახალი ნეოკლასიკური სინთეზი“ XXI საუკუნის ახალი პარადიგმა. ISSN 1987-7471	ქ. „სოციალური ეკონომიკა“, 2018, №2.	თბ., სტუ	
10	ასათიანი როზეტა	სიღარიბის მიზეზები საქართველოში და მისი დაძლევის გზები (პოლიტეკონომიურიანალიზი). ISSN 1512-4649	ქ. „ახალი ეკონომისტი“, 2018, №4.	თბ., „საუნჯე“	
11	ბერულავა გიორგი (თანაავტ.)	მიგრაცია და შრომის ბაზარი საქართველოში. ISSN 1512-0538	ქ. „ბიზნეს-ინჟინერი-ნგი“, №3-4, 2018.	სტუ თბილისი	გვ. 64-66
12	ბერულავა გიორგი	ეკონომიკური გარდაქმნის პროცესში საბაზრო ინსტიტუტების როლის შესახებ ISSN 2449-2396	გლობალიზაცია და ბიზნესი, № 6.	ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი	გვ. 116-120
13	დათუნაშვილი ლინა	მემცენარეობის ზოგიერთი კულტურისა და დარგის განვითარების ღონისძიებები საქართველოში	ქ. „ეკონომისტი“, #1	თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტ. გამომცემლობა. თბილისი	10
14	თოთლაძე ლია	ტრანზაქციები უძრავ საცხოვრებელ ქონებაზე, როგორც წინმსწრები ეკონომიკური ინდიკატორი. ISSN 2449-2396	ქ. „გლობალიზაცია და ბიზნესი“, 2018, #6	თბილისი, „საუნჯე“	6
15	კაკულია ეთერი	მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარება საქართველოში	ქ. „ეკონომისტი“, #1	თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტ.	8

		p ISSN 1987 - 6890 e ISSN 2346 - 8432		გამომცემლობა. თბილისი	
16	Charaia V. Papava V. Wang Fanmei	China-Georgia Economic Relations in the Context of the Belt and Road Initiative, ISSN – 0132 – 1447	Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, ტ. 12, № 1	საქართველოს მეცნიერ- ებათაეროვნული აკადემია თბილისი	7
17	პაპავა ვ.	ეკონომიკური ზრდა ევროკავ- შირის აღმოსავლეთის პარტნი- ორობის ქვეყნებში. ISSN 1987-5789	ჟ. „ეკონომიკა და ბიზნესი“ № 2	თსუ თბილისი,	6
18	კურატაშვილი ა.	ISSN 1987 – 6904	"პროგრესი", 2018, 3	გამომცემლობა პროგრესი“	22
19	კურატაშვილი ქ.	ISSN 1512-0422	"პროგრესი", 2018, 1-2.	"პროგრესი"	4
20	არევაძე ნ. ბიბილაშვილი ნ. თეთრაული ც.	ნანო ტექნოლოგიების, როგორც მაღალი ტექნოლო- გიების გამოყენების თავისებურებები ეკონომიკაში (ევროკავშირისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის მაგალითზე). ISSN 1987–6904	თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტი- ტუტის სამეც. შრომების კრებული. ტ. XI	თბ., პ. გუგუშვილის სახ. ეკონ. ინსტიტუტის გ-ბა 2018	
21	ასათიანი როზეტა	ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება საბანკო სექტორში. ISSN 1987–6904	თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტი- ტუტის სამეც. შრომების კრებული. ტ. XI	თბ., პ. გუგუშვილის სახ. ეკონ. ინსტიტუტის გ-ბა 2018	
22	ასათიანი რ.	ქოზის თეორემის არსის გაგე- ბისათვის. ISSN 1987–6904	თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტი- ტუტის სამეც. შრომების კრებული. ტ. XI	თბ., პ. გუგუშვილის სახ. ეკონ. ინსტიტუტის გ-ბა 2018	
23	ბერულავა გ. კაკულია ე.	ქსელური ტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკაში. ISSN 1987–6904	თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტი- ტუტის სამეც. შრომების კრებული. ტ. XI	თბ., პ. გუგუშვილის სახ. ეკონ. ინსტიტუტის გ-ბა 2018	
24	ბერულავა გ. ცუცქირიძე მ. გოგობია თ.	თავდაცვითი და ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკაში. ISSN 1987–6904	თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტი- ტუტის სამეც. შრომების კრებული. ტ. XI	თბ., პ. გუგუშვილის სახ. ეკონ. ინსტიტუტის გ-ბა 2018	
25	ბრეგვაძე გ.	რობოტოტექნიკის, როგორც მაღალი ტექნოლოგიის გამოყენება ეკონომიკაში. ISSN 1987–6904	თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტი- ტუტის სამეც. შრომების კრებული. ტ. XI	თბ., პ. გუგუშვილის სახ. ეკონ. ინსტიტუტის გ-ბა 2018	

26	ბურდული ვ.	ინოვაციური მასალების წარმოება და მათი გამოყენება ეკონომიკაში. ISSN 1987–6904	თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის სამეც. შრომების კრებული. ტ. XI	თბ., პ. გუგუშვილის სახ. ეკონ. ინსტიტუტის გ-ბა 2018	
27	დავლაშერიძე ნ.	ინოვაციური სოციალური ტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკაში. ISSN 1987–6904	თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის სამეც. შრომების კრებული. ტ. XI	თბ., პ. გუგუშვილის სახ. ეკონ. ინსტიტუტის გ-ბა 2018	
28	დათუნაშვილი ლ.	ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება სოფლის მეურნეობაში. ISSN 1987–6904	თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის სამეც. შრომების კრებული. ტ. XI	თბ., პ. გუგუშვილის სახ. ეკონ. ინსტიტუტის გ-ბა 2018	
29	თაფლაძე თ.	ხელოვნური ინტელექტის, როგორც მაღალი ტექნოლოგიის გამოყენება ეკონომიკაში. ISSN 1987–6904	თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის სამეც. შრომების კრებული. ტ. XI	თბ., პ. გუგუშვილის სახ. ეკონ. ინსტიტუტის გ-ბა 2018	
30	კურატაშვილი ა. კურატაშვილი ქ.	სოციალურ-სამართლებრივი ტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკის სახელმწიფო მართვაში. ISSN 1987–6904	თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის სამეც. შრომების კრებული. ტ. XI	თბ., პ. გუგუშვილის სახ. ეკონ. ინსტიტუტის გ-ბა 2018	
31	კვარაცხელია მ.	უსაფრთხოების სისტემების, როგორც მაღალი ტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკაში. ISSN 1987–6904	თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის სამეც. შრომების კრებული. ტ. XI	თბ., პ. გუგუშვილის სახ. ეკონ. ინსტიტუტის გ-ბა 2018	
32	ლაზარაშვილი თ. მელაშვილი მ.	ინფორმაციული და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკაში. ISSN 1987–6904	თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის სამეც. შრომების კრებული. ტ. XI	თბ., პ. გუგუშვილის სახ. ეკონ. ინსტიტუტის გ-ბა 2018	
33	პაპავა ვ.	მაღალი ტექნოლოგიები ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. ISSN 1987–6904	თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის სამეც. შრომების კრებული. ტ. XI	თბ., პ. გუგუშვილის სახ. ეკონ. ინსტიტუტის გ-ბა 2018	
34	სიგუა გ.	უსადენო ტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკაში. ISSN 1987–6904	თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის სამეც. შრომების კრებული. ტ. XI	თბ., პ. გუგუშვილის სახ. ეკონ. ინსტიტუტის გ-ბა 2018	
35	ქავთარაძე თ.	სანავიგაციო ტექნოლოგიების გამოყენება სოფლის მეურნეობაში.	თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის სამეც. შრომების	თბ., პ. გუგუშვილის სახ. ეკონ. ინსტიტუტის გ-ბა 2018	

		ISSN 1987-6904	კრებული. ტ. XI	
36	ქველაძე ქ.	ფოტონიკის, როგორც მაღალი ტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკაში. ISSN 1987-6904	თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის სამეც. შრომების კრებული. ტ. XI	თბ., პ. გუგუშვილის სახ. ეკონ. ინსტიტუტის გ-ბა 2018
37	ქისტაური ნ.	პროგრამული უზრუნველყოფის, როგორც მაღალი ტექნოლოგიის გამოყენება ეკონომიკაში. ISSN 1987-6904	თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის სამეც. შრომების კრებული. ტ. XI	თბ., პ. გუგუშვილის სახ. ეკონ. ინსტიტუტის გ-ბა 2018
38	ჩხეიძე თ. დვალისვილი ლ.	ბიოტექნოლოგიის, როგორც მაღალი ტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკაში. ISSN 1987-6904	თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის სამეც. შრომების კრებული. ტ. XI	თბ., პ. გუგუშვილის სახ. ეკონ. ინსტიტუტის გ-ბა 2018
39	ჯავახიშვილი რ. თოთლაძე ლ.	ინოვაციური ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზარი. ISSN 1987-6904	თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის სამეც. შრომების კრებული. ტ. XI	თბ., პ. გუგუშვილის სახ. ეკონ. ინსტიტუტის გ-ბა 2018
40	ხუსკივაძე მ. ნოზაძე ზ.	ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკაში. ISSN 1987-6904	თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტის სამეც. შრომების კრებული. ტ. XI.	თბ., პ. გუგუშვილის სახ. ეკონ. ინსტიტუტის გ-ბა 2018

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

აბესაძე რ., ზურდული ვ. National, Regional and Supranational Coordination of the Regional Innovation Policy in the EU Countries. სტატიაში სისტემატიზებული და დასაბუთებულია რეგიონული ინოვაციური პოლიტიკისა და მისი კოორდინაციის მექანიზმების (სტრატეგიები და ინსტრუმენტები) ფორმირების საწყისი წანამდგრები ეროვნულ, რეგიონულ და ზეეროვნულ დონეზე უპირატესად ევროკავშირის ქვეყნებში. ნაჩვენებია, რომ კოორდინაციის სამივე დონეზე გამოიყენება სამრეწველო და ინოვაციური პოლიტიკის კოორდინაციის უპირატესად ერთობლივი ინსტრუმენტები. დაწვრილებით გამოკვლეულია სამრეწველო და ინოვაციური პოლიტიკის კოორდინაციის ეროვნული და რეგიონული დონეები საფრანგეთში და და სამხრეთ კორეაში როგორც ქვეყნებში, რომლებმაც განახორციელეს ამ პოლიტიკების კოორდინაციის მექანიზმების წარმატებული რეფორმირება. ასევე სისტემურად გამოკვლეულია რეგიონული სამრეწველო და ინოვაციური პოლიტიკის ზეეროვნული კოორდინაციის ევროკავშირის მექანიზმები.

აბესაძე რ. ალტერნატიული ენერგეტიკა. ალტერნატიული ენერგეტიკის განვითარების პრობლემები.

1. თანამედროვე ეტაპზე ენერგეტიკასთან დაკავშირებით მკაცრად დგას ორი უმნიშვნელოვანესი პრობლემა: 1. ენერგორესურსების ამოწურვისა და 2. ენერგეტიკული დაბინძურებისაგან გარემოს დაცვისა;
2. ენერგეტიკა ენერგორესურსების ყველაზე დიდი მომხმარებელია. დღეისათვის გამოყენებული ენერგორესურსების უდიდესი ნაწილი კი არაგანახლებადია და გარკვეული პერიოდის შემდეგ ეს რესურსი აღარ იარსებებს. ამდენად, დღის წესრიგში დგას ალტერნატიული ენერგორესურსების ძიების პრობლემა. ენერგეტიკა ასევე გარემოს ყველაზე დიდი დამაბინძურებელია, რაც მოითხოვს ენერგეტიკულად სუფთა ტექნოლოგიების შექმნას.
3. ალტერნატიული ენერგეტიკა ტრადიციულისაგან განსხვავებით მოიცავს ისეთ ტექნოლოგიებს, რომელიც ორიენტირებულია ტრადიციული ენერგეტიკის შეცვლასა და ეკოლოგიურად სუფთა წარმოებების განვითარებაზე. ალტერნატიული ენერგეტიკა ეფუძნება განახლებადი ენერგორესურსებისა (მზის, ქარის, მოქცევის, ტალღების, გეოთერმული ენერგია, ბიომასის ენერგია) და ზოგიერთი არაგანახლებადი რესურსების (ატომური და წყალბადის ენერგეტიკა), ასევე ენერგოდამზოვი ტექნოლოგიების გამოყენებას. ვინაიდან წყლის ენერგია მიეკუთვნება განახლებად ენერგიეს, ამიტომ ისიც შეიძლება ალტერნატიულ ენერგეტიკას

მივაკუთნოთ

4. მსოფლიოში ელექტროენერჯის გამომუშავება ჰიდროელექტროსადგურების მიერ წლითიწლობით იზრდება. ჰიდროენერჯეტიკამ 2015 წელს უზრუნველყო განახლებადი ელექტროენერჯის 60 და მთლიანი გამომუშავების 16 პროცენტი.

5. ტერიტორიის ერთეულზე ჰიდროენერჯეტიკული რესურსების მიხედვით, საქართველო ერთ-ერთი პირველია მთელ მსოფლიოში.

6. წყლის ენერჯის გამოყენებას საქართველოში მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მიუხედავად ამისა, ჰიდროენერჯორესურსების გამოყენების დონე საქართველოში დაბალია.

7. ჰიდროენერჯის გამოყენების მიხედვით მსოფლიოში ლიდერობენ – ჩინეთი, ბრაზილია, აშშ, კანადა, რუსეთი.

8. მზე ენერჯის უზარმაზარი წყაროა. მზის ენერჯია შესაძლებელია გამოვიყენოთ როგორც სითბოს, ისე ელექტროენერჯის გამოსამუშავებლად. მზის ენერჯის გამოყენების მიხედვით მსოფლიოში ლიდერობენ: გერმანია, იტალია, აშშ, ჩინეთი, იაპონია, მზის კონცენტრატების მიხედვით – ესპანეთი, აშშ, ალჟირი, ეგვიპტე/მაროკო, ავსტრალია.

9. საქართველოს ტერიტორია მიჩნეულია ისეთ ტერიტორიად, სადაც მზის რადიაციის გამოყენება ენერჯის წყაროდ ეკონომიკურად გამართლებულია. ამისათვის საუკეთესო პირობებია შავი ზღვის მიმდებარე ტერიტორიებზე, ასევე, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს დაბლობ და კავკასიონის მაღალმთიან რაიონებში.

10. ქარის ენერჯიას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მსოფლიო ბუნებრივი რესურსების საერთო ბალანსში. ქარის ელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრე მსოფლიოში თანდათან იზრდება.

11. დღეს ქარის ენერჯის გამოყენების ერთ-ერთ ყველაზე წარმატებული ქვეყანაა დანია, სადაც ელექტროენერჯის 28% სწორედ ქარის ენერჯისგან მიიღება და 2020 წლისთვის ამ მაჩვენებლის 50%-მდე გაზრდა იგეგმება. ამჟამად აქ 1500-მდე ქარის ელექტროსადგურია.

ახესაძე რ. ორგანული ქიმიის, როგორც მაღალი ტექნოლოგიის, გამოყენება ეკონომიკაში. ორგანული ქიმიის, როგორც მაღალი ტექნოლოგიის, დანიშნულება და ორგანულ ნაერთთა წარმოებისა და გამოყენების საკითხები.

1. თანამედროვე ეტაპზე ორგანული ქიმიის მნიშვნელობა ძალზედ დიდია, მისი მიღწევების გამოყენების გარეშე შეუძლებელია ეკონომიკის, მისი თითქმის ყველა დარგის ეფექტიანი ფუნქციონირება. განსაკუთრებით მნიშვნელოვან როლს თამაშობს იგი ისეთ დარგებში როგორცაა: სათბობისა (ნავთობის, ბუნებრივი აირის, ქვანახშირის, საწვავი ფიქალისა და ხის გადამამუშავება, სხვადასხვა საწვავის სინთეზი და ა.შ.) და კვების მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, საღებავების, ვიტამინების, სინთეზური კაუჩუკის, რეზინის, ბოჭკოების, პლასტმასებისა და სხვ. წარმოება. ორგანული ქიმიის ყველაზე დიდი დანიშნულებებია ის, რომ აქ წარმოებული პროდუქცია არის ინოვაციური ხასიათის, რომელთა გამოყენება დიდ გავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე.

2. ძირითადი ნედლეული ორგანული ნაერთების მისაღებად არის: ბუნებრივი აირი, ნავთობი, ქვანახშირი და მურა ნახშირი, ფიქალი, ტორფი, ხე და სოფლისა და სატყეო მეურნეობის პროდუქტები. მათი გადამამუშავებით მიიღება: ბენზინი, ნავთი, მაზუთი, საპოხ ზეთები, ვაზელინი, მყარი პარაფინი, კოქსი, ტოლუოლი, ფენოლი, ნაფტალინი, პირადინი, ხინოლინი, აცეტილენი, კალციუმის კარბიდი და მრავალი სხვა სამრეწველო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების პროდუქტი.

3. წარმოების განვითარების დღევანდელ დონეზე, ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორია **სინთეზური მასალების** მიღება და გამოყენება. ფართოდ გამოიყენება გოგირდის შემცველი **პოლიმერული მასალები**. პოლიმერულ მასალებში შედის: პლასტმასი, კაუჩუკი, რეზინა, ლაქსაღებავები, წებო, ბოჭკოები, ფირი, ხელოვნური ტყავი, ქაღალდი და მრავალი სხვა.

4. ყველაზე გავრცელებული პლასტმასია პოლიეთილენი, პოლიპროპილენი, პოლისტიროლი, პოლივინილის ქლორიდი, პოლიმეთილმეტაკრილატი, ფტოროპლასტი. ამჟამად პლასტმასი სიმტკიცის, სიმსუბუქის, ტემპერატურისა და ქიმიური ნივთიერებებისადმი მედეგობის, ასევე დაბალი ფასების მიხედვით, აჭარბებს ბევრ ცნობილ ბუნებრივ მასალას.

სინთეზური კაუჩუკის გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე ტექნიკის არსებობა.

5. ზოგიერთი სინთეზური ორგანული ნივთიერება წარმატებით გამოიყენება სოფლის მეურნეობასა და კვების მრეწველობაში.

სოფლის მეურნეობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ორგანულ სასუქებს, პესტიციდებს, ბაქტერიციდებს, ინსექტიციდებს, პერბიციდებს, ფუნგიციდებს, აკარიციდებს, ზოოციდებს,

- რეპლენტებს, დეფოლანტებს, დესიკანტებს, მცენარეთა ზრდის რეგულიატორებს და სხვ.
- ორგანული ქიმიის ძალზედ პერსპექტიული მიმართულებაა სინთეზური კვების პროდუქტების გამოყენება. იგი ხელს შეუწყობს საკვები პროდუქტების სიუხვეს.
- თანამედროვე ორგანული ქიმია დრამატიკურად შეიჭრა ქიმიურ პროცესებში, რომელიც მიმდინარეობს საკვები პროდუქტების შენახვისა და გადამუშავების დროს.
6. მსოფლიოში ყოველწლიურად ასობით მილიონი ტონა მიიმე ორგანულ სინთეზზე დაფუძნებული პროდუქტი იწარმოება. გარდა ამისა, მსოფლიო აწარმოებს მრავალფეროვანი წვრილი ორგანული სინთეზის პროდუქტებს
 7. ქიმიური მრეწველობის მნიშვნელოვანი სფერო ორგანული საღებავების სინთეზური წარმოება.
 8. ქიმიური და სინთეზური ბოჭკოები მიიღება ორგანული პოლიმერული და სინთეზური მასალებისგან.
 9. უძველესი დროიდან დღემდე მშენებლობაში, ორგანული მასალა იყო ხე, მაგრამ "ხის საუკუნე" მშენებლობაში დასრულდა. ჩვენს ეპოქაში გამოიყენება უფრო მდგრადი და არაწვადი სამშენებლო მასალა ორგანულ საფუძველზე.
 10. ფართო გამოყენება აქვთ ასევე მრეწველობასა და ყოფაცხოვრებაში ორგანულ გამსხნელებს, ბქნიკური სითხეებს, ავტოკოსმეტიკურ პრეპარატებს.
 11. ფართოდ გამოიყენება ორგანული სინთეზის პროდუქტები ნანოქიმიაში და ნანოტექნოლოგიებში.

არევაძე ნ., ბიბილაშვილი ნ. კორეის რესპუბლიკის ინოვაციური სისტემის თავისებურებები.
 სტატიაში განხილულია კორეის რესპუბლიკის ინოვაციური სისტემის შექმნისა და ჩამოყალიბების თავისებურებები და განვითარების ეტაპები 1962-2016 წლებში. მოკლედ დახასიათებულია წარმატების განმაპირობებელი ძირითადი ფაქტორები: სახელმწიფოს განმსაზღვრელი, ეფექტური როლი რეფორმების განხორციელებაში; მჭიდრო თანამშრომლობა სახელმწიფოს, ბიზნესსა და სამეცნიერო წრეებს შორის; ჩებოლების მნიშვნელოვანი როლი ეის შექმნასა და ჩამოყალიბებაში; მოსახლეობის განათლებულობა, იაფი და კვალიფიციური მუშახელი, შექმნილი ინსტიტუციური საფუძველი, ლიბერალური საპატენტო კანონმდებლობა; უცხოური მოწინავე ტექნოლოგიების გადმოტანა (ძირითადად არაფორმალური გზით); დიდი და მხარდი დანახარჯები მეცნიერებასა და განათლებაზე.

არევაძე ნ. ბიბილაშვილი ნ. თეთრული ც. ნანოტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკაში. მსოფლიოსა და მის ზოგიერთ ქვეყანაში ნანოტექნოლოგიების, როგორც მაღალი ტექნოლოგიების შემუშავებისა და გამოყენების პრობლემები. ნანოტექნოლოგიები განხილული, როგორც ახალი ტექნოლოგიური წყობის საფუძველი. შემოთავაზებულია “ნანოტექნოლოგიის”, როგორც ტერმინის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის ცდა. ნანოტექნოლოგიების და მათი შემდგომი კონვერგენციის საფუძველზე დახასიათებულია ნანოტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებული ზოგიერთი სოციალური, ეთიკური და ეკონომიკური რისკი. გამოთქმულია ვარაუდები მის განვითარებასა და პერსპექტიულ გამოყენებასთან დაკავშირებით ახალი ტექნოლოგიური წყობის პირობებში. ნანოტექნოლოგიების უპირატესობა არსებულთან შედარებით აშკარაა, რამდენადაც მას გააჩნია კაცობრიობის მტანჯველი ბევრი პრობლემის გადაწყვეტის რეალური შესაძლებლობა, თუმცა მას ბევრი გამოვლენილი და ჯერაც დაუზუსტებელი უარყოფითი მხარეც აქვს, რომელთა ნაწილი ადამიანისათვის ძალზე სახიფათო შეიძლება აღმოჩნდეს.

ასათიანი რ. ქოუზის თეორემის არსის გაგებისათვის.
 1960 წელს რონალდ ქოუზმა გამოაქვეყნა სტატია – „სოციალური ხარჯების პრობლემები“. მან აღნიშნული პრობლემები განიხილა ექსტერნალიტების ანუ გარე ეფექტების მაგალითზე, იგი არსებითად, შეიძლება ითქვას ჰიპოთეზაა, თუმცა, ისტორიაში შევიდა რონალდ ქოუზის თეორემის სახელწოდებით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს პრობლემა ჯერ კიდევ განიხილა არტურ პიგუმ წიგნში „კეთილდღეობის ეკონომიკური თეორია“. გარდა პიგუსა, აღნიშნული თეორემა 1966 წელს ფორმულირებულ იქნა ჯორჯ სტიგლერის მიერ.

ქოუზის აზრით, უარყოფითი ექსტერნალიტები არ იწვევენ რესურსების არარაციონალურ ალოკაციას თუკი არ არსებობს ტრანსაქციული ხარჯები. თუ მხარეები რესურსების განაწილებაზე უდანახარჯოდ შეთანხმდებიან, მაშინ გადაჭრიან უარყოფითი ექსტერნალიტების პრობლემას. ქოუზმა აგრეთვე უარყო შეხედულება იმის შესახებ, რომ ექსტერნალიტები ნებისმიერ შემთხვევაში უცილობლად იწვევენ ბაზრის ფიასკოს. მისი მტკიცებით, აუცილებელია რესურსებზე საკუთრების უფლების ზუსტი განაწილება და ტრანსაქციული ხარჯების მინიმიზაცია.

ქოუზი ხსნის საკუთრების უფლების ეკონომიკურ არსს. მისი შეხედულებით, რაც უფრო ზუსტად არის განსაზღვრული საკუთრების უფლება, მით უფრო მეტად გარე ხარჯები გარდაიქმნება შიდა

ხარჯებად.

არსებობს შემთხვევები, როდესაც ქოუზის თეორემა მიუღებელია. ამას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მოლაპარაკებები შეუძლებელია ან ძალზე ძვირადღირებულია. მაშინ როდესაც ინსტიტუტები ზრდიან დანახარჯებს, აუცილებელია მათი შეცვლა უფრო ეფექტიანი ინსტიტუტებით. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტექნოლოგიური პროგრესი და კაპიტალის (როგორც ფიზიკური, ისე ადამიანისეული) დაგროვება, რაც ავტომატურად უზრუნველყოფს ეკონომიკურ ზრდას.

ასათიანი რ. „ახალი ნეოკლასიკური სინთეზი“ – XXI საუკუნის ახალი პარადიგმა.

სტატიაში განხილულია „ახალი ნეოკლასიკური სინთეზის“, როგორც ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ახალი ეკონომიკური მიმდინარეობის, წარმოშობის ობიექტური წანამდგრები, მიზნები და ამოცანები. დასაბუთებულია ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში მისი გამოყენების აუცილებლობა.

ნაშრომში ასხნილია „ახალი ნეოკლასიკური სინთეზის“ ორგანული კავშირი ეკონომიკური მეცნიერების შედარებით ახალ დარგთან – საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკასთან და მათი როლი სიცოცხლისუნარიანი ეკონომიკური პოლიტიკის ფორმირებაში.

საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ფუნქციონირების ძირითადი მიმართულებების ასახვა ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში თანამედროვე ცივილიზაციის გამოწვევაა. ეს მიმართულებები აუცილებელია აისახოს „ახალ ნეოკლასიკურ სინთეზში“, რაც სიახლეს შეიტანს „ნეოკლასიკურ სინთეზში“, რომელიც გასული საუკუნის 80-იან წლებში ჩამოყალიბდა პოლ სამუელსონის ხელმძღვანელობით და წარმატებით გამოიყენებოდა ერთი ათეული წლის მანძილზე აშშ-სა და სხვა განვითარებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში.

დღეს განვითარებულ სამყაროში ინტენსიურად მიმდინარეობს მსჯელობა ეკონომიკური პოლიტიკის მეინსტრიმის (ძირითადი მიმართულების) შეცვლის თაობაზე, რაც განსაკუთრებით გააქტიურდა 2008 წლის მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შემდეგ და უკავშირდება იმ ეკონომიკური თეორიის შეცვლას, რომელიც საფუძვლად ედო ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას. ამის ეპიცენტრი ამერიკის შეერთებული შტატებია და ყოველი ცვლილება ციტადელად აღიარებულ ამ ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაში სწრაფად „აირეკლება“, განსაკუთრებით, ეკონომიკურად დაწინაურებული ქვეყნების ეკონომიკურ პოლიტიკაში.

„ახალი ნეოკლასიკური სინთეზი“ „ნეოკლასიკური სინთეზისა“ (ახალი შინაარსით) და საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკის ძირითადი მიმართულებების შეერთების შედეგად მიღებული ახალი ეკონომიკური თეორიაა. ეს ფორმულირება არის სიახლე მსოფლიო ეკონომიკურ მეცნიერებაში.

ეკონომიკის სოციალიზაციის გაძლიერებით მსოფლიოს განვითარების კანონზომიერმა პროცესმა ახალი იმპულსი შეიძინა და ბიძგი მისცა ეკონომიკურ პროგრესს, რაც სხვა მახასიათებლებთან ერთად, ტექნოლოგიურ ბუმში გამოიხატა. ამიტომაც გახდა აუცილებელი ეკონომიკური თეორიის მეინსტრიმის და, აქედან გამომდინარე, ეკონომიკური პოლიტიკის შეცვლა.

ასათიანი რ. სიღარიბის მიზეზების საქართველოში და მისი დაძლევის გზები (პოლიტეკონომიური ანალიზი).

საქართველომ, დასაბამიდან დღემდე, უამრავი წინააღმდეგობა დაძლია, ამასთან, უახლოეს წარსულში აღიდგინა 70 წლის წინ დაკარგული დამოუკიდებლობა. მიუხედავად ამისა, დღეს, XXI საუკუნეში, როდესაც მსოფლიო ალაპარაკდა ინოვაციური ეკონომიკის პრიორიტეტზე, ქვეყანაში უმძიმესია სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა (არაფერს ვამბობთ რთულ პოლიტიკურ ვითარებასა და საზოგადოებისთვის მიუღებელ პოლიტიკურ კულტურაზე).

მსოფლიოში საკმაოდ აპრობირებული გამოცდილება – კეთილდღეობა კონკურენციის გზით, უცხოა ჩვენი ქვეყნისთვის. იგი ჩანასახოვან მდგომარეობაშიც კი არ არსებობს, რასაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა (იგი საქართველოში 2006 წელს გაუქმდა) და, აქედან გამომდინარე, ანტიმონოპოლიური რეგულირების არარსებობა. ოლიგოპოლიური ბაზარი განაპირობებს კონკურენციის პორიზონტალურ შეზღუდვას. საქართველოს რეალური სექტორის ადგილი საბანკო და სხვა საფინანსო ინსტიტუტებმა დაიკავეს. საბანკო სისტემა ვერ აწვდის სისხლს ეკონომიკას, არ არის კონკურენტუნარიანი. ამიტომ საქართველოში, მოჭარბებული მწვავე პრობლემების გავლენით, სუსტია ეკონომიკა და მასშტაბურია სიღარიბე. ეს სამწუხარო რეალობა მოითხოვს კომპლექსურ შესწავლას, მეცნიერულ დონეზე გაანალიზებასა და ამ მიმე მდგომარეებიდან გამოსვლისათვის სათანადო ღონისძიებების დასახვა-განხორციელებას.

ასათიანი რ. ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება საბანკო სექტორში. საბანკო სისტემაში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვის სფეროში მსოფლიოში არსებული მდგომარეობა, განვითარების

თავისებურებები როგორც გლობალიზაციის ახალი გამოწვევა ეს არის უახლესი ინოვაციური ტექნოლოგიები საბანკო სისტემაში, რომლებიც ემსახურება ციფრული თაობის მოთხოვნათა დაკმაყოფილებას: ციფრული ბანკინგი, მობილური ბანკინგი, სკორინგის სისტემა, ციფრული ინოვაციური უსაფრთხოების ბიომეტრიული სისტემა, ბლოკჩეინის ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტი და ა.შ. საბანკო სფეროში ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა ქვეყნის წარმატების საწინდარია. დღეს ჭეშმარიტ კონკურენტულ უპირატესობას ის ბანკები აღწევენ, რომლებიც სწრაფად ადიქამენ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და ითვალისწინებენ გლობალიზაციის მოთხოვნებს, რაც, უპირველეს ყოვლისა, ახლებურ აზროვნებას უკავშირდება. ეს თანამედროვე გამოწვევაა ეკონომიკის ნებისმიერი დარგისთვის, საბანკო სისტემისთვის კი მნიშვნელოვანზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან მის წარმატებაზე დიდად არის დამოკიდებული არა მხოლოდ საბანკო სისტემის, არამედ მთელი ქვეყნის ეკონომიკის განვითარება. ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას საბანკო სისტემაში მაღალი მულტიპლიკაციური ეფექტი აქვს. ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა საბანკო სისტემაში მისი ეფექტიანი ფუნქციონირების საფუძველია. იგი მყარ ნიადაგს ქმნის ამ სფეროს ოპტიმალური განვითარებისთვის, ინვესტიციების მოცულობისა და საინვესტიციო პორტფელის დივერსიფიკაციისათვის, საინვესტიციო კლიმატის გაჯანსაღებისათვის, ქვეყნის წარმოებრივი და ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისთვის. საბოლოო ანგარიშით, ეს პროცესი ხელს უწყობს სოციალური პრობლემების გადაჭრას, რომელიც ერთ-ერთი მწვავეა მთელ მსოფლიოში, მით უმეტეს საქართველოში.

ბერულავა გ. მიგრაცია და შრომის ბაზარი საქართველოში.

წინამდებარე ნაშრომში შესწავლილია საქართველოში მიგრაციას და შინ დარჩენილი ოჯახის წევრების შრომის ბაზარზე მოქმედებას შორის ურთიერთკავშირი. ქართული ოჯახების კვლევის საფუძველზე შევეცადეთ პასუხი გაგვეცა ეკონომიკურ ლიტერატურაში შედარებით შეუსწავლელ საკითხებზე. პირველი, ჩვენ გამოვიყენეთ ინსტრუმენტული ცვლადების მეთოდიკა მიზეზშედეგობრივი კავშირის დასადგენად მიგრაციას და შრომის მიწოდებას შორის საქართველოში. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო მიგრაცია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შინ დარჩენილი ოჯახის წევრების გადაწყვეტილებებს შრომის ბაზარზე მონაწილეობის შესახებ და ეს გადაწყვეტილებები არსებითად განსხვავდება სქესის და დასახლების ტიპის მიხედვით. მეორე, შევისწავლეთ მიგრანტების გამგზავნი ოჯახის წევრების არააქტიურობის ალტერნატიული განმარტებები. წინამდებარე კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოში მიგრაცია იწვევს შინ დარჩენილი ოჯახის წევრების არააქტიურობას ძირითადად შრომის ჩანაცვლების ან განათლების მიღების ეფექტის მეშვეობით.

ბერულავა გ. ეკონომიკური გარდაქმნის პროცესში საბაზრო ინსტიტუტების როლის შესახებ.

წინამდებარე კვლევაში ძირითადი ყურადღება ეთმობა ეკონომიკური გარდაქმნის პროცესში საბაზრო ინსტიტუტების როლის განხილვას. თანამედროვე ეტაპზე ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა ისეთი სტიმულების სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც წახალისებს ბიზნესს საწარმოო საქმიანობაში სახსრების ინვესტირებისათვის, და არა რენტის მიებისათვის. საქმე ეხება ინსტიტუტებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ბიზნესის განვი-თარებისათვის ყველაზე ხელსაყრელ სამართლებრივ და მარეგულირებელ გარემოს. კერძოდ, არეგულირებენ საკუთრების უფლებებს, საკონტრაქტო ურთიერთობებს, აგრეთვე ბაზრიდან გამოსვლას და ბაზარში შესვლას და ა.შ. ეს ინსტიტუტები, რომლებიც ავსებს საბაზრო კონკურენციის მექანიზმს, მათ უფრო ეფექტიანს ხდის ბაზრის განუსაზღვრელობისა და ტრანსაქციური დანახარჯების შემცირების, სწავლებისა და ცოდნის სტიმულების უზრუნველყოფის, ინოვაციების სტიმულირების, მეწარმეობისა და საწარმოო საქმიანობისათვის ეკონომიკური აგენტების წახალისების გზით.

ბერულავა გ. გოგონია თ. ცუცქირიძე მ. თავდაცვითი და ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკაში. თავდაცვითი და ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიების შემუშავებისა და განვითარების პრობლემები ევროკავშირის მაგალითზე. ნაშრომში განხილულია მაღალი ტექნოლოგიების ისეთი სახეობების არსი და ეკონომიკაში გამოყენების თავისებურებები როგორცაა: 1. თავდაცვითი ტექნოლოგიები; 2. ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიები. შესწავლილია: ამ ტექნოლოგიების ქვესახეობები; მათი მართვის მექანიზმი, ასევე ამ ტექნოლოგიების გამოყენება.

ბერულავა გ., კაკულია ე. ქსელური ტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკაში. 1. თანამედროვე ეკონომიკაში ქსელური ინფორმაციული ტექნოლოგიების არსი, დანიშნულება, ძირითადი სახეობები, მახასიათებლები, კომპონენტები; 2. ეკონომიკაში მათი გამოყენებისა და განვითარების ძირითადი მიმართულებები; 3. ქსელური ინფორმაციული ტექნოლოგიების ეკონომიკური ასპექტები. თანამედროვე ქსელური ტექნოლოგიების მიზანია

არა უბრალოდ მონაცემების დამუშავების ეფექტურობის ზრდა და მმართველის დახმარება, არამედ *მაღალეფექტური წარმოების* შექმნა. შედეგად, თანამედროვე ქსელური ინფორმაციული ტექნოლოგიები, იქცა ნებისმიერი ბიზნესის წარმატებული განვითარებისა და კონკურენტუნარიანობის მნიშვნელოვან ფაქტორად, ასევე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს მართვის ეფექტურობის გაზრდის საშუალებად.

ბრეგვაძე გ. რობოტოტექნიკის, როგორც მაღალი ტექნოლოგიის, გამოყენება ეკონომიკაში. რობოტოტექნოლოგიების ეკონომიკაში გამოყენების საკითხები. დღევანდელი საზოგადოება წარმოდგენილია რობოტების გარეშე. ისინი უკვე მოიცავენ ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროს. რობოტები გამოყენება წარმოებაში, სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობაში, მომსახურებაში, საზოგადოებრივი კვების ობიექტებზე, ტრანსპორტში, კავშირგაბმულობაში, ჯანდაცვაში, განათლებაში, ოჯახებში და მოხუცთა თავშესაფრებში. უკვე შექმნილია და მიმდინარეობს ხელოვნური ინტელექტის მქონე რობოტების სრულყოფა. ეს არისინოვაციური გარღვევა და აწინსვლა, რასაც შეუძლია არადიკალურად შეცვალოს საზოგადოები სეკონომიკური და სოციალური სფერო. განხილულია მსოფლიოში რობოტოტექნიკის ბაზრის არსებული მდგომარეობა და პერსპექტივები.

ბურდული ვ. ინოვაციური მასალების წარმოება და გამოყენება ეკონომიკაში.

ინოვაციური კომპოზიტური მასალების მსოფლიო ბაზრის განვითარების პრობლემები, მოცემულია კომპოზიტური მასალების კლასიფიკაცია, გამოკვლეულია მათგან ნაკეთობების (დეტალების) გამოყენება ეკონომიკის ზოგიერთ დარგში ტრადიციული მასალებიდან ნაკეთობების (დეტალების) ჩანაცვლების საფუძველზე. სისტემატიზებულია და დახასიათებულია კომპოზიტური მასალებისა და მათგან ნაკეთობების წარმოების ტექნოლოგიები. შემოთავაზებულია საქართველოში კომპოზიტური მასალების წარმოების გაფართოების ორგანიზაციულ-ინოვაციური პრობლემები.

დავლაშელიძე ნ. ინოვაციური სოციალური ტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკაში. ეკონომიკაში ინოვაციური სოციალური ტექნოლოგიების გამოყენების თეორიული ასპექტები. გამოვლენილია ინოვაციური სოციალური ტექნოლოგიების არსი. ხაზგასმულია, რომ ინოვაციური სოციალური ტექნოლოგიები - ესაა საზოგადოებაში ინოვაციების შექმნაზე მიმართული საქმიანობის მეთოდები და საშუალებები, რომლებსაც მიყვავართ ხარისხობრივ ცვლილებებამდე სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში, ასევე მატერიალური და სხვა რესურსების რაციონალურ გამოყენებამდე. აგრეთვე მოცემულია სოციალური ტექნოლოგიების კლასიფიკაცია, პირობებები და მიზეზები, ნაჩვენებია მათი გამოყენების თანამედროვე მაგალითები, განსაკუთრებით, ეკონომიკის სფეროში.

დათუნაშვილი ლ. მემცენარეობის ზოგიერთი კულტურისა და დარგის განვითარების ღონისძიებები საქართველოში.

სტატიაში შესწავლილი და გაანალიზებულია საქართველოს სოფლის მეურნეობაში – მემცენარეობის ზოგიერთი კულტურის: მარცვლოვანი (ხორბალი, სიმინდი) და ტექნიკური კულტურების (მზესუმზირა, თამბაქო), კარტოფილის, ასევე მეხილეობის დარგიდან – თესლოვანი (ვაშლი, მსხალი), კურკოვანი და კაკლოვანი (კაკალი, თხილი) კულტურების განვითარების რეალური მდგომარეობა და მათზე მოქმედი ფაქტორები. ყურადღება გამახვილებულია აღნიშნული კულტურების წარმოების შემდგომი განვითარების მიმართულებით შემოთავაზებულ იმ გზებსა და ღონისძიებებზე, რომელთა გათვალისწინება და პრაქტიკული რეალიზაცია მნიშვნელოვნად აამაღლებს სტატიაში განხილული მემცენარეობის პროდუქციის წარმოებას საქართველოში.

დათუნაშვილი ლ. ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენება სოფლის მეურნეობაში.

სოფლის მეურნეობაში ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების პრობლემები; გაანალიზებულია სოფლის მეურნეობაში ციფრული ტექნოლოგიის პროგრამული უზრუნველყოფის, მობილური დანართისა და საინფორმაციო ინფრასტრუქტურის, ბიოტექნოლოგიის – გენური ინჟინერიის, უჯრედული ინჟინერიის, ცხოველების იდენტური ორგულების (გენეტიკური ასლების) და ცხოველების სქესის რეგულირების გამოყენების შედეგები; განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბიოტექნოლოგიის მნიშვნელობას მკვებლების, დაავადებებისა და პერბიციდების მიმართ მდგრადი მცენარეების ახალი ჯიშების შექმნის თვალსაზრისით. ასევე მეცხოველეობაში პირუტყვის ძირითადი დაავადებების დიაგნოსტიკის, თერაპიისა და პროფილაქტიკისათვის გამოყენებული გენოინჟინერული შტამების, ვაქცინებისა და მონოკლონური ანტისხეულების გამოყენებით პირუტყვის დაავადებების შემცირების შესაძლებლობებს; ხაზგასმულია ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით მიღებული რიგი დადებითი შედეგები, რომელიც დაკავშირებულია სოფლის მეურნეობაში წარმოებული სასურსათო პროდუქციის მოცულობის ზრდასა და ხარისხობრივი მანვენებლების გაუმჯობესებასთან; განხილულია ის პრობლემები, რომლებსაც აქვს ადგილი ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე ბიოტექნოლოგიების

გამოყენების შედეგად წარმოებული სასურსათო პროდუქციის მოხმარების დროს.

თაფლაძე თ. ხელოვნური ინტელექტის, როგორც მაღალი ტექნოლოგიის, გამოყენება ეკონომიკაში. ხელოვნური ინტელექტის, როგორც მაღალტექნოლოგიური სექტორის პრობლემები.. ყურადღება გამახვილებულია მის პრაქტიკულ გამოყენებაზე, როგორც ეკონომიკური პრობლემების გადაჭრის ახლებურ საშუალებაზე, როგორებიცაა ხმოვანი და ვიზუალური ანალიზი, დაავადებათა ამოცნობა, მოხმარებლისთვის პერსონალიზირებული სერვისის შექმნა და სხვ.. განხილულია ხელოვნური ინტელექტის ინტეგრაციის ძირითად საფეხურებს - პრობლემის შერჩევა, ეფექტურობის კრიტერიუმების დადგენა, მონაცემების შეგროვება, ხელოვნური ინტელექტის მოდელის შერჩევა-გაწრთვინა და ინტეგრაცია. გაანალიზებულია ხელოვნური ინტელექტის განვითარებისა და დანერგვის საერთაშორისო მდგომარეობას, ყურადღება გამახვილებულია მსოფლიო ლიდერებზე - აშშ, ჩინეთი, ევროკავშირი. ასევე შესწავლილია სხვადასხვა ტექნიკურ-ეკონომიკური თუ მორალური პრობლემა, რომლებიც ასოცირებულია ხელოვნური ინტელექტის გამოყენებასთან.

თოთლაძე ლ. ტრანზაქციები უძრავ საცხოვრებელ ქონებაზე, როგორც წინმსწრები ეკონომიკური ინდიკატორი.

ეკონომიკის განვითარების ტენდენციების წინასწარ განჭვრეტა მნიშვნელოვანია ნებისმიერი ქვეყნისათვის, განვითარების რომელ ეტაპზეც არ უნდა იყოს იგი. განვითარების ტენდენციების შეფასებისა და პროგნოზირებათვის კი როგორც მკვლევარები, ასევე პრაქტიკოსები სხვადასხვა გზას იყენებენ. მაჩვენებელთა გამოვლენა, რომელთა ცვლილებაც მოასწავებს ცვლილებებს მთლიანად ეკონომიკაში, ერთ-ერთ ფართოდ გავრცელებული მიმართულებაა. ამგვარი მიდგომის რეალიზაციის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს წინმსწრებ ეკონომიკურ ინდიკატორთა გამოყენება. ინდიკატორთა შერჩევა კი ცხადია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების სპეციფიკაზე დამოკიდებული. წინმსწრებ ეკონომიკურ ინდიკატორთა შორის განიხილება ახალ საცხოვრებელ ფართების მშენებლობაზე განაცხადების დინამიკა, ასევე წარმატებით შესაძლოა გამოყენებულ იქნეს უძრავ საცხოვრებელ ქონებაზე ტრანზაქციები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომში განხილულია წინმსწრებ ეკონომიკურ ინდიკატორთა გაანგარიშების ასპექტები. განსაკუთრებული ყურადღება კი ეთმობა უძრავ ქონები ტრანზაქციების დინამიკის, როგორც წინმსწრები ინდიკატორის ანალიზს როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კუთხით. ანალიზირებულია საქართველოში ამ მაჩვენებლის დინამიკის თავისებურებები და მისი საპროგნოზოდ გამოყენების მიზანშეწონილობა.

კაკულია ე. მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარება საქართველოში (ქართულ და ინგლისურ ენაზე).

ნაშრომში შესწავლილია მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარების საკითხები საქართველოში. 90-იანი წლებიდან დღემდე პერიოდი წარმოდგენილია ექვს ეტაპად. გამოკვეთილია გატარებული ძირითადი ღონისძიებები და მოკლედ არის აღწერილი თითოეული ეტაპის დადებითი და ნაკლოვანი მხარეები. მცირე ბიზნესის ფორმირება-განვითარების სფეროში არსებული ნაკლოვანებების დაძლევის მიზნით, გამოთქმულია წინადადებები და მოსაზრებანი, რომელიც ნაშრომს თან ერთვის დასკვნის სახით.

კვარაცხელია მ. უსაფრთხოების სისტემების, როგორც მაღალი ტექნოლოგიების, გამოყენება ეკონომიკაში.

ეკონომიკაში უსაფრთხოების სისტემების, როგორც მაღალი ტექნოლოგიების, გამოყენების თანამედროვე ტენდენციები. უსაფრთხოების ახალი სისტემები საშუალებას იძლევა შევამციროთ დანახარჯები ეკონომიკური ობიექტების დაცვაზე და ვუზრუნველვყოთ ბიზნეს-პროცესების უსაფრთხო გარემოში წარმართვა. ამასთან დაკავშირებით გაანალიზებულია ასეთი სისტემის სახეები და გამოყენებული ინოვაციური ტექნოლოგიები -

კურატაშვილი ა., კურატაშვილი ქ. სოციალურ-სამართლებრივი ტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკის სახელმწიფო მართვაში. სახელმწიფო მართვაში სოციალური ინოვაციების გამოყენების პრობლემები.

საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისა და ხალხის – ყოველი ადამიანის – ინტერესების რეალიზაციისათვის უდავოა და ექვს არ იწვევს სახელმწიფო მართვის განსაკუთრებული მნიშვნელობა. ამასთან, სახელმწიფო მართვის სისტემაში მეტად მნიშვნელოვანია ეკონომიკის სახელმწიფო მართვა სოციალურ-სამართლებრივი ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენებით, რაც უნდა ეფუძნებოდეს ხალხის ინტერესების რეალიზაციაზე გამიზნულ პროგრესულ მეცნიერულ-თეორიულ ბაზისს, და რაც კონკრეტულად უნდა ემსახურებოდეს ხალხის – ყოველი ადამიანის – ინტერესების რეალიზაციას. ეკონომიკის სახელმწიფო მართვაში პრინციპული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სოციალურ-სამართლებრივი ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენებით სოციალური სამართლიანობის პრობლემის გადაჭრას ევროპულ კავშირთან სამართლებრივი ადაპტაციის აუცილებლობასთან დაკავშირებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თანამედროვე პირობებში სულ უფრო იზრდება ეკონომიკის სახელმწიფო

მართვაში სოციალურ-სამართლებრივი ტექნოლოგიების ეფექტიანი გამოყენების აქტუალობა და განსაკუთრებული მნიშვნელობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ეკონომიკის სახელმწიფო მართვა ხდებოდეს ისეთი სოციალურ-სამართლებრივი ტექნოლოგიების გამოყენებით, რომლებიც ეფუძნება ხალხის ინტერესების – ჰუმანოსოციალური მიზნის – რეალიზაციაზე გამიზნულ პროგრესულ მეცნიერულ-თეორიულ ბაზისს.

კურატაშვილი ა.

სამეცნიერო ნაშრომში განხილულია ავტორის მიერ შექმნილი – კერძო საკუთრების სოციალური რეალიზაციის ფილოსოფიური, პოლიტიკურ-სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური თეორია, D და აგრეთვე მისი პრაქტიკული განხორციელების მექანიზმები. კერძოდ, აღნიშნული თეორიის საფუძველზე გამხილულია ის სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური მექანიზმები, რომელთა პრაქტიკული დანერგვის შედეგად მოხდება კერძო საკუთრების სოციალური რეალიზაცია.

კურატაშვილი ქ.

В ЭКОНОМИЧЕСКОЙ ТЕОРИИ. სამეცნიერო ნაშრომში განხილულია

ევროინტეგრაცია და ინოვაციები – როგორც ეკონომიკურ თეორიაში ფუნდამენტური კვლევის ძირითადი მიმართულება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ევროინტეგრაციისა და ინოვაციის პრობლემებს, რომელთა გადაჭრა არის ეკონომიკის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეფექტიანი ფუნქციონირების აუცილებელი პირობა და ხალხის ცხოვრების მაღალი ხარისხის მიღწევის მნიშვნელოვანი ფაქტორი.

ლაზარაშვილი თ. მელაშვილი მ. ინფორმაციული და ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკაში. ევროკავშირის მაგალითზე ინფორმაციული ტექნოლოგიების დანიშნულება თანამედროვე ეკონომიკის ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის. საზოგადოების განვითარებაში ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი მდგომარეობს საზოგადოების მიერ ახალი ცოდნის მიღების, გავრცელებისა და გამოყენების პროცესების დაჩქარებაში. ცივილიზაციის განვითარების ისტორიაში მოხდა რამოდენიმე ინფორმაციული რევოლუცია, როდესაც კარდინალურმა ცვლილებებმა ინფორმაციის დამუშავების სფეროში გამოიწვია საზოგადოებრივო ურთიერთობების გარდაქმნა. შეიქმნა ინფორმაციის შექმნის, დამუშავებისა და გადაცემის ავტომატიზირებული საშუალებები. ამ წლებში მოხდა ინფორმაციული საზოგადოების კონცეფციის ფორმულირება. ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზარი ერთ-ერთ მნიშვნელოვან და აქტიურად ფორმირებად ბაზრად რჩება მსოფლიო ეკონომიკაში. შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაცია თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში წარმოადგენს უნიკალურ საქონელს, რომლის თვისება კარდინალურად განსხვავდება სხვა მსოფლიო ბაზარზე მიმოქცევადი საქონლისაგან.

Papava Vladimer, Charaia Vakhtang, Wang Fanmei. China-Georgia Economic Relations in the Context of the Belt and Road Initiative.

სტატიაში განხილულია ჩინეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობები და მათი გააქტიურება, რომელსაც სარტყლისა და გზის ინიციატივამ შეუწყო ხელი. საქართველოს ადგილი ამ ინიციატივაში არის ცენტრალური აზია-დასავლეთ აზიის ეკონომიკურ დერეფანში, რომელიც მისი ეკონომიკის განვითარებისათვის პრინციპულად ახალ შესაძლებლობებს ქმნის. აბრეშუმის გზის ეკონომიკურ სარტყელში საქართველოს შეუძლია ეკონომიკური ჰაბის როლის შესრულება, რადგანაც მას უკვე აქვს თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი როგორც ევროკავშირთან, ისე ჩინეთთან.

პაპავა ვლ. ეკონომიკური ზრდა ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის ქვეყნებში.

ქვეყნების ეკონომიკურ ზრდის მაჩვენებლებს შორის განსხვავების რაოდენობრივი შეფასებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მკვეთრი ზრდის ეფექტის გამორიცხვას. ამ მიზნით შესაძლებელია იმ მეთოდის გამოყენება, რომელიც ეფუძნება პროპორციული გადაფარვის ჰიპოთეზას. სამწუხაროდ, არადაამაკმაყოფილებელია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ეკონომიკური ზრდის ტიპი. ამკარაა, რომ ამ ქვეყნებისთვის დამახასიათებელია ეკონომიკური ზრდის ისეთი ტიპები, როგორცაა ჩამორჩენილი ზრდა (უფრო ზუსტად კი - უკიდურესად ჩამორჩენილი ზრდა) და კუდში მიმდევარი ზრდა.

პაპავა ვ. მაღალი ტექნოლოგიები ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში.

მაღალი ტექნოლოგიების შექმნისა და გამოყენების გამოცდილება ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში. კვლევამ აჩვენა რომ: 1. ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნებისთვის, სამწუხაროდ, დამწვევი ზრდის ტიპი არ არის დამახასიათებელი, მათთვის პრიორიტეტულია, რომ ცენტრალური და აღმოსავლეთ

ევროპის რეგიონი გახდეს ტექნოლოგიური ინოვაციების ჰაბი; 2. მაღალტექნოლოგიური წარმოება ძირითადად თავმოყრილია ევროკავშირის არაპოსტკომუნისტურ ქვეყნებში. ევროკავშირის პოსტკომუნისტური ქვეყნების ჯამური მაჩვენებელი ამ მიმართებით მხოლოდ 5,24 პროცენტია. 3. ერთმნიშვნელოვნად იმის თქმა, რომ ევროკავშირის წევრობა მხოლოდ დადებითად აისახა მასში გაწევრიანებულ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მაღალტექნოლოგიური წარმოების გაფართოებაზე პრაქტიკულად შეუძლებელია. კერძოდ, აშკარად პოზიტიური ტენდენცია დამახასიათებელია ბულგარეთისთვის, ლატვიისთვის, ლიეტუვასთვის, პოლონეთისთვის, რუმინეთისთვისა და სლოვაკეთის რესპუბლიკისთვის, ხოლო უარყოფითი ტენდენცია ფიქსირდება ესტონეთისთვის (მცირედით) და უნგრეთისთვის (მნიშვნელოვნად). იმავდროულად, სლოვენისთვის, ჩეხეთის რესპუბლიკისთვის და ხორვატიისთვის პრაქტიკულად არაფერი შეცვლილა. მამსადაამე, ევროკავშირის წევრობა, სულაც არ არის საკმარისი პირობა იმისთვის, რომ პრინციპული გარღვევა მომხდარიყო ევროკავშირის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში მაღალი ტექნოლოგიების განვითარების კუთხით; 4. „კომბინატორული წანამატის“ კონცეპციიდან გამომდინარე გარკვეული აზრით გაადვილებულია იმის გააზრება, რომ ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ პოსტკომუნისტურ ქვეყნებში თავმოყრილ იქნა უმთავრესად ტრადიციული ტექნოლოგიებზე დაფუძნებული წარმოება; 5. საქართველოსთვის. წარმატების მიღწევა მაღალტექნოლოგიური წარმოების სფეროში შესაძლებელი იქნება სახელმწიფოს მხრიდან ისეთი პროაქტიური ეკონომიკური პოლიტიკის გატარების პირობებში, რომელიც ორიენტირებული იქნება ქვეყანაში ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის შექმნასა და განვითარებაზე.

სიგუა გ. უსადენო ტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკაში. უსადენო მაღალი ტექნოლოგიების ეკონომიკაში გამოყენების პრობლემები. შემოთავაზებულია სატელეკომუნიკაციო ქსელების კლასიფიკაცია (ფიქსირებული, მობილური და უნივერსალური უსადენო წვდომის ქსელები) და ამ ქსელების მახასიათებლები და უპირატესობები სადენიან ქსელებთან შედარებით; წარმოდგენილია ამ ტექნოლოგიების განვითარების დინამიკა და მასშტაბები მსოფლიოს რეგიონებსა და საქართველოში. ნაჩვენებია სამომავლო ტენდენციები, შესაძლებლობები და პერსპექტივები საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთ სფეროებში, როგორცაა: საჯარო სექტორი (ელექტრონული მმართველობა, ელექტრონული არჩევნები, ციფრული სერვისები და სხვა), სოციალური სფერო (განათლება, ჯანდაცვა, მეცნიერული კომუნიკაციები), ეკონომიკა (წარმოება, საფინანსო-საბანკოსექტორი, ტრანსპორტი და ლოგისტიკა).

ქავთარამე თ. სანავიგაციო ტექნოლოგიების გამოყენება სოფლის მეურნეობაში. სოფლის მეურნეობაში სანავიგაციო ტექნოლოგიების გამოყენების პრობლემები, გლობალური სანავიგაციო ტექნოლოგიები არის სწრაფმზარდი ინოვაციური ინდუსტრია, რომელსაც არც თუ დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი პირდაპირ გავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. გამოკვეთილია ამ ტექნოლოგიების უპირატესობა მიწათმოქმედებასა და მიწათსარგებლობაში დაკვირვებითი სამუშაოების ჩატარების დროს, კერძოდ თანამგზავრული დიფერენცირებული ქვესისტემების მეშვეობით სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ალგორითმული უზრუნველყოფა. დიდია გლობალური სანავიგაციო სატელიტური სისტემების მნიშვნელობა, როგორც კომერციული, ისე არაკომერციული მომხმარებლებისათვის. ყურადღება გამახვილებულია სანავიგაციო ტექნოლოგიის ინოვაციურ პროექტზე. ეს არის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ტექნოლოგიური, ტექნიკური და ფინანსურეკონომიკური დოკუმენტების კრებული, რომლებიც აუცილებელია სანავიგაციო ტექნოლოგიების ასათვისებლად კონკრეტულ საწარმოებში ან სამეურნეო სუბიექტების კომპლექსში. დასაბუთებულია საქართველოს სოფლის მეურნეობაში სანავიგაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობები.

ქველამე ქ. ფოტონიკის, როგორც მაღალი ტექნოლოგიის, გამოყენება ეკონომიკაში. ნაშრომში განხილულია VI ტექნოლოგიების წყობის ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულება, როგორცაა ფოტონიკა. ფოტონიკა ეს არის მეცნიერება ყოველივე იმაზე რის საფუძველშიც სინათლე დევს. იგი შეისწავლის სინათლის თვისებებს. ზოგიერთი სპეციალისტის აზრით ტერმინმა „ფოტონიკა“ შეცვალა ტერმინი „ოპტიკა“. ფოტონიკის გამოყენება მეტნაკლებად მოიცავს ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორს – მოპოვებით და გადამამუშავებულ მრეწველობაში; სინათლის და სითბური გამოსხივების ელექტროენერგიად გარდაქმნაში; ენერგეტიკაში; ტრანსპორტში; კავშირგაბმულობაში; სოფლის მეურნეობაში; ჯანდაცვაში; გარემოს დაცვაში; თავდაცვასა და უსაფრთხოებაში და ა.შ. ბოლო 10 წლის განმავლობაში ფოტონიკა გახდა მსოფლიო ბაზრის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი და ძალიან სწრაფად მზარდი დარგი. ფოტონიკის პროდუქტის წარმოების ძირითადი ცენტრებია იაპონია, ჩინეთი, სამხრეთ კორეა, ტაივანი, გერმანია, ჩრდ. ამერიკა. დღეისათვის მისი

პრაქტიკული გამოყენების დაახლოებით 50 მიმართულებაა ჩამოყალიბებული. ნაშრომში ასევე გაანალიზებულია ფოტონიკის თავისებურებანი და განვითარების თანამედროვე ტენდენციები.

ქისტაური ნ. პროგრამული უზრუნველყოფის, როგორც მაღალი ტექნოლოგიის გამოყენება ეკონომიკაში. პროგრამული უზრუნველყოფის, როგორც მაღალი ტექნოლოგიების სექტორის ძირითადი კომპონენტის ეკონომიკაში გამოყენების პრობლემები. იგი მრავალი სახის პროგრამას აერთიანებს, რომლებიც ძირითადად სამ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: სისტემური, გამოყენებითი და ინსტრუმენტული; განხილულია ე.წ. „ღრუბლოვანი ტექნოლოგიები“, რომლებიც „მესამე პლატფორმის“ საფუძველში დევს. საერთაშორისო კვლევითი და კონსალტინგური კომპანია IDC (International Data Corporation)-ის მონაცემებით, 2016 წელს მსოფლიოში „ღრუბლოვანი მომსახურებებზე“ დანახარჯებმა 100 მლნ დოლარი შეადგინა; გამოყოფილია რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც ხელს უწყობს „მესამე პლატფორმის“ ბაზაზე სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებას; გაანალიზებულია პროგრამული უზრუნველყოფის ბაზრის თანამედროვე მდგომარეობას თუ ბოლო დრომდე ამ ბაზარზე ძირითადად ამერიკული კომპანიები ფუნქციონირებდნენ, დღეს მათ კონკურენციას ჩინური და ინდური კომპანიები უწყვენ და საკმაოდ წარმატებითაც. განხილულია დღეისათვის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური პრობლემა - პროგრამული მეკობრეობა, რაც უზარმაზარ არამართო ფინანსურ, არამედ მორალურ ზიანს აყენებს პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზირებული პროგრამების მწარმოებელ კომპანიებს.

ჩხეიძე თ. დვალიშვილი ლ. ბიოტექნოლოგიების, როგორც მაღალი ტექნოლოგიების, გამოყენება ეკონომიკაში. ბიოტექნოლოგიის“ არსი და მისი როგორც მაღალი ტექნოლოგიის ეკონომიკაში გამოყენების პრობლემები. განვითარების საფუძველები და ისტორია, გამოყოფილი და დახასიათებულია განვითარების ხუთი ეტაპი; შესწავლილია ბიოტექნოლოგიების ეკონომიკაში გამოყენების სფეროები.

ხუსკივაძე მ., ნოზაძე ზ. ეკოლოგიურად სუფთა და ენერგოდამზოვი ტექნოლოგიების გამოყენება ეკონომიკაში. ინოვაციური ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზრის არსი და თავისებურებები. სათანადო სტატისტიკური მასალების ანალიზის საფუძველზე მასში გაანალიზებულია ახალი ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზრის თანამედროვე მდგომარეობა, მისი დინამიკა და სტრუქტურა, გეოგრაფიაში მომხდარი ცვლილებები და განსაზღვრულია მისი განვითარების პერსპექტივები, რომლის ძირითად მიმართულებებად მიჩნეულია ინოვაციური მანქანა-მოწყობილობის, სატრანსპორტო-კომუნიკაციური და საინფორმაციო ტექნოლოგიების, მობილური ინტერნეტისა და რობოტოტექნიკის ბაზრის პრიორიტეტული განვითარება, აგრეთვე ლიცენზიებისა და პატენტების საერთაშორისო გაცვლის აქტივიზაცია.

ჯავახიშვილი, თოთლაძე ლ. ინოვაციური ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზარი. ინოვაციური ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზრის არსი და თავისებურებები. სათანადო სტატისტიკური მასალების ანალიზის საფუძველზე მასში გაანალიზებულია ახალი ტექნოლოგიების საერთაშორისო ბაზრის თანამედროვე მდგომარეობა, მისი დინამიკა და სტრუქტურა, გეოგრაფიაში მომხდარი ცვლილებები და განსაზღვრულია მისი განვითარების პერსპექტივები, რომლის ძირითად მიმართულებებად მიჩნეულია ინოვაციური მანქანა-მოწყობილობის, სატრანსპორტო-კომუნიკაციური და საინფორმაციო ტექნოლოგიების, მობილური ინტერნეტისა და რობოტოტექნიკის ბაზრის პრიორიტეტული განვითარება, აგრეთვე ლიცენზიებისა და პატენტების საერთაშორისო გაცვლის აქტივიზაცია.

ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების ანუ ე. წ. „მწვანე“ ტექნოლოგიების არსი და მათი გამოყენების სფეროები. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთებულია მრეწველობაზე, ტრანსპორტზე, ენერგეტიკასა და სოფლის მეურნეობაზე, როგორც გარემოს ყველაზე მეტად გამაჭუქიანებელ სფეროებზე. გაშუქებულია ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების როლო ეკოლოგიურად ორიენტირებული ეკონომიკის ფორმირებასა და მდგრადი განვითარების ტრანსპორტზე გადასვლაში. გაანალიზებულია „მწვანე ტექნოლოგიების“ შექმნის, გადაცემის და ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმი. დახასიათებულია ტოპ-10 ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგია და ტოპ-10 ეკოლოგიურად სუფთა მწარმოებელი. განხილულია ევროკავშირის ზოგიერთ წამყვან ქვეყანაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კორეა და ჩინეთში სახელმწიფო პოლიტიკა ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების ფორმირებასა და დანერგვაში. ნაშრომში

გაკეთებულია დასკვნა, რომ გლობალური ეკოლოგიური პრობლემების, განსაკუთრებით სათბური ეფექტის დაძლევის და ზოგადად პლანეტაზე ეკოლოგიური მდგომარეობის ნორმალიზების მიზნით ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების გამოყენება არის უალტერნატივო გზა და როგორც განვითარებულმა, ისე განვითარებადმა ქვეყნებმა (მათ შორის საქართველომ) სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიებისა და ეკოლოგიური პოლიტიკის ფორმირების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს ამ საკითხებს.

6. ბეჭდური პროდუქციის გამოცემა უცხოეთში

5.4. სტატიები

№	ავტორი/ავტორები	სტატიისსათაური, დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდი DOI ან ISSN	ჟურნალის/კრებულის დასახელება და ნომერი/ტომი	გამოცემისადგილი, გამომცემლობა	გვ. -
1	Ramaz Abesadze, Vakhtang Burduli	National, Regional and Supranational Coordination of the Regional Innovation Policy in the EU Countries. DOI: 10.5604/01.3001.0012.1688 ISSN 2450-2146 online ISSN2451-1064	<i>International Journal of New Economics and Social Sciences</i> 1(7)2018.	Published by: Mi dzynarodow y InstytutInnowacji NaukaEdukacja-Rozwój w Warszawie, Polska	17-
2	Charaia Vakhtang Papava Vladimer	Agflation and other Modifications of Inflation (The Cases of Georgia and its Neighboring Countries), https://doi.org/10.1016/j.aasci.2018.04.007	Annals of Agrarian Science/Issue 2/Vol. 16	თბილისი, Elsevier	201-204
3	ბერულავა გ.	Migration and labor supply in Georgia: an empirical study DOI: 10.1007/s40822-018-0106-4	Eurasian Economic Review (forthcoming)	Springer	19
4	ბერულავა გ. გოგობია თ.	Complementarities of Innovation Strategies: Evidence from Transition Economies DOI:10.1007/978-3-319-67916-7_34 ISSN: 2364-5067 ISSN: 2364-5075 (electronic)	In: Bilgin M., Danis H., Demir E., Can U. (eds) Eurasian Economic Perspectives. Eurasian Studies in Business and Economics, vol 8/2. Springer, Cham,	Springer	23
5	Ismailov E. Papava V.	Caucasian Tandem and the Belt and Road Initiative, ISSN 14037068, 14046091	Central Asia and the Caucasus/Issue 2/Vol 19	შვედეთი, CA&C Press AB	10
6	Papava V.	Catching Up and Catch-Up Effect: Economic Growth in Post-Communist Europe DOI: 10.13187/es.2018.7.109	European Journal of Economic Studies No. 2/Vol. 7	სლოვაკეთ Academic Publishing House	16
7	პაპავა ვ.	ევრაზიული თუ ევროპული მომავალი პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის და ერთი სარტყელი ერთი გზის ინიციატივა (ჩინურ ენაზე),ISSN 1006-1568	Global Review/No.2	ჩინეთი, Shanghai Institutes for International Studies	გვ. - 14
8	Папава В.	О кризисе в экономической науке и путях выхода из него. p ISSN 2522-9311 e ISSN 2522-9486	Економика України № 10	უკრაინა,	20
9	სიგუა გ.	-	-	10, 26. -	86-94

ISSN 2617-7722 (print).

ვრცელი ანოტაცია (ქართულ ენაზე)

Ramaz Abesadze, Vakhtang Burduli. National, Regional and Supranational Coordination of the Regional Innovation Policy in the EU Countries.

სტატიაში სისტემატიზებული და დასაბუთებულია რეგიონული ინოვაციური პოლიტიკისა და მისი კოორდინაციის მექანიზმების (სტრატეგიები და ინსტრუმენტები) ფორმირების საწყისი წანამდგვრები ეროვნულ, რეგიონულ და ზეეროვნულ დონეზე უპირატესად ევროკავშირის ქვეყნებში. ნაჩვენებია, რომ კოორდინაციის სამივე დონეზე გამოიყენება სამრეწველო და ინოვაციური პოლიტიკის კოორდინაციის უპირატესად ერთობლივი ინსტრუმენტები. დაწვრილებით გამოკვლეულია სამრეწველო და ინოვაციური პოლიტიკის კოორდინაციის ეროვნული და რეგიონული დონეები საფრანგეთში და და სამხრეთ კორეაში როგორც ქვეყნებში, რომლებმაც განახორციელეს ამ პოლიტიკების კოორდინაციის მექანიზმების წარმატებული რეფორმირება. ასევე სისტემურად გამოკვლეულია რეგიონული სამრეწველო და ინოვაციური პოლიტიკის ზეეროვნული კოორდინაციის ევროკავშირის მექანიზმები.

Charaia Vakhtang, Papava Vladimer. Agflation and other Modifications of Inflation (The Cases of Georgia and its Neighboring Countries).

სტატიაში გამოკვლეულია აფლაციისა და ინფლაციის სხვა მოდიფიკაციების მაჩვენებლები საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების მაგალითზე. შედეგებმა ცხადყო, რომ ტრადიციული ინფლაციის მაჩვენებელს არ ძალუძს ფასების ცვლილებით გამოწვეული პრობლემების სრული ასახვა, განსაკუთრებით, განვითარებად და ღარიბ ქვეყნებში. შესაბამისად უნდა მოიძებნოს ახალი ინსტრუმენტები. სტატიაში შემოთავაზებულია ფასების ცვლილებაზე მანფლაციის ინდექსის მეშვეობით დაკვირვების განხორციელება, რომელიც, თავის მხრივ, შედგება აფლაციის, კომუნალური გადასახდელებისა და ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯებისაგან. ნაშრომმა აჩვენა რომ საუკეთესო შედეგის მასაღწევად ინფლაციის მაჩვენებელთან ერთად მანფლაციის ინსტრუმენტის გამოყენების კომბინაცია იძლევა უფრო ნათელი სურათის მიღების შესაძლებლობას. უფრო მეტიც ეს მაჩვენებლები არათუ გამორიცხავს, არამედ ავსებს ერთმანეთს.

ბერულავა გ. Migration and labor supply in Georgia: an empirical study.

წინამდებარე ნაშრომში შესწავლილია საქართველოში მიგრაციას და შინ დარჩენილი ოჯახის წევრების შრომის ბაზარზე მოქმედებას შორის ურთიერთკავშირი. ქართული ოჯახების კვლევის საფუძველზე შევეცადეთ პასუხი გაგვეცა ეკონომიკურ ლიტერატურაში შედარებით შეუსწავლელ საკითხებზე. ჩვენ გამოვიყენეთ ინსტრუმენტული ცვლადების მეთოდიკა მიზნზე შედეგობრივი კავშირის დასადგენად მიგრაციას და შრომის მიწოდებას შორის საქართველოში. კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო მიგრაცია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შინ დარჩენილი ოჯახის წევრების გადაწყვეტილებებს შრომის ბაზარზე მონაწილეობის შესახებ და ეს გადაწყვეტილებები არსებითად განსხვავდება სქესის და დასახლების ტიპის მიხედვით.

ბერულავა გ. გოგობია თ. Complementarities of Innovation Strategies: Evidence from Transition Economies.

წარმოდგენილ სტატიაში განხორციელებული არის გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მოქმედი ფირმების ინოვაციურ სტრატეგიებს შორის კომპლემენტარობის გამოკვლევა.

კერძოდ, BEEPS-ის V რაუნდისმონაცემების ბაზისსაფუძველზე, ჩვენგამომიებულიგვაქვს სხვადასხვატიპისინოვაციებს (პროდუქტულ, პროცესულ და არატექნოლოგიურ (მარკეტინგულ და/ან ორგანიზაციულ) ინოვაციებს)შორისშესაძლო კომპლემენტარობის არსებობაფირმისმწარმოებლურობაზე მათიგავლენის ჭრილში.

კვლევამ გამოავლინა კომპლემენტარობის არსებობა ინოვაციების შემდეგ ორ კომბინაციას შორის:

პროდუქტულ და პროცესულ ინოვაციებს შორის;

პროცესულ და არატექნოლოგიურ ინოვაციებს შორის.

ამასთან ერთად, კვლევის შედეგებმა გვიჩვენეს, რომ ინოვაციათა მხოლოდ იმკომბინაციებს, რომლებიცთვალისცინებენწყველათიპის ინოვაციასდა/ანპროცესულიდაარა-

ტექნოლოგიურიინოვაციებისკომბინაციებს,

აქვთდადებითიდასტატისტიკურადმნიშვნელოვანიგავლენაფირმისმწარმოებლურობაზე.

სტატიაში, ჩვენ გავითვალისწინეთ სხვადასხვა ტიპის ინოვაციური დანახარჯების (შიდა ცოდნის

წარმოქმნისა და გარე ცოდნის შექმნის აქტივობების) ერთდროულად რეალიზაცია და განვანხორციელებული სხვადასხვა ტიპის ინოვაციებზე მათი ერთობლივი ეფექტის შეფასება.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ შიდა სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების (R&D) სტრატეგიის განხორციელება სტიმულირებას აძლევს არა მარტო ტექნოლოგიურ, არამედ არატექნოლოგიურ ინოვაციებზე ორიენტირებულ საქმიანობას.

ამავე დროს, ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ გარე ცოდნის შექმნის სტრატეგია ინოვაციურ შედეგებზე პოზიტიურ და სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მხოლოდ მაშინ, როდესაც ფირმის სხვადასხვა ტიპის ინოვაციების კომბინაცია არატექნოლოგიურ სიახლეებს მოიცავს.

პაპავა ვლ. ისმაილოვი ე. Caucasian Tandem and the Belt and Road Initiative.

სტატიაში გაანალიზებული „კავკასიური ტანდემის“, ანუ საქართველოს და აზერბაიჯანის ერთობლივი როლი და პერსპექტივები ერთი სარტყელი ერთი გზის ჩინური ინიციატივის კონტექსტში.

პაპავა ვლ. Catching Up and Catch-Up Effect: Economic Growth in Post-Communist Europe (Lessons from the European Union and the Eastern Partnership States).

სტატიაში გაანალიზებულია პოსტკომუნისტური ევროპისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური ზრდა. განხილულია, როგორც ევროკავშირის, ისე აღმოსავლეთ პარტნიორობის სახელმწიფოთა გამოცდილება. გამოყენებულია მკვეთრი ზრდის ეფექტის გამორიცხვის ავტორისეული მეთოდი.

პაპავა ვლ. ევრაზიული თუ ევროპული მომავალი პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკური განვითარებისთვის და ერთი სარტყელი ერთი გზის ინიციატივა (ჩინურ ენაზე).

სტატიაში ნაჩვენებია, რომ ერთი სარტყელი ერთი გზის ინიციატივის გათვალისწინებითაც საქართველოსთვის ევროკავშირში გაწევრიანებას უფრო მეტი სიკეთის მოტანა შეუძლია, ვიდრე ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირთან მიერთებას. ამ პოზიციის სასარგებლოდ მეტყველებს საქართველოს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებაც.

პაპავა ვლ. О кризисе в экономической науке и путях выхода из него.

სტატიაში შესწავლილია ეკონომიკურ მეცნიერებაში არსებული კრიზისის უმთავრესი მიზეზები, გაანალიზებულია მისი ფორმირების ისტორიული და თანამედროვე მაგალითები. განხილულია ამ კრიზისის დაძლევის ზოგიერთი გზა.

6. სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში მონაწილეობა

6.1. საქართველოში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
	აბესაძე რ.	MODERN TREND OF ECONOMIC DEVELOPMENT ISBN 978-9941-13-690-0 E ISSN 2587 – 4691	თბ., 2018. თსუ პაატა გუგუშვილი-ის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი
	აბესაძე რ.	Global Economic Safety E ISSN 2587 – 4691	თბ., 2018. თსუ პაატა გუგუშვილი-ის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი
	აბესაძე რ.	გლობალიზაცია და მისი გავლენა ეროვნულ ეკონომიკაზე	ISBN 978-9941-13-764-8 26-27 ოქტომბერი, 2018 თსუ
	აბესაძე რ.	ISBN 978-617-645288 ISBN 978-617-645-289-8 (. 1	(), 19–20 2018
	არევაძე ნ. ბიბილაშვილი ნ.	ნანოტექნოლოგიების განვითარების თავისებურებები გლობალიზაციის პირობებში	2018 თბ., თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი
	ასათიანი რ.	საზოგადოებრივი სექტორის ეკონომიკისა და ახალი ნეოკლასიკური სინთეზის	2018 თბ., თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი

		ურთიერთკავშირი	
ბერულავა გ.	ეკონომიკური ზრდის ინოვაციური და ინსტიტუციური წინაპირობების შესახებ.		2018 თბ., თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი
ბერულავა გ.	მიგრაცია და შრომის ბაზარი საქართველოში		სტუ, 13-14 ოქტომბერი, თბილისი
ბერულავა გ.	ეკონომიკური გარდაქმნის პროცესში საბაზრო ინსტიტუტების როლის შესახებ		ევროპის უნივერსიტეტი, თბილისი, 2018
ბრეგვაძე გ.	რობოტოტექნიკის წარმოშობა-განვითარების ძირითადი ეტაპები და უახლესი პერსპექტივები		2018 თბ., თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი
ბურდული ვ.			2018 თბ., თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი
დავლაშერიძე ნ.	„ჭკვიანი ქალაქები“ როგორც სოციალური ინოვაციების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება.		2018 თბ., თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი
დავლაშერიძე ნ.	ინოვაციური ფაქტორის გავლენა ქვეყნის ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე.		28 დეკემბერი, თბ., 2018 თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი
დათუნაშვილი ლ.	სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე ტენდენციები მსოფლიო ეკონომიკაში.		2018 თბ., თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი
დათუნაშვილი ლ.	ბიოტექნოლოგიების გამოყენება სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისათვის		2018 თბ., თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი
დვალაშვილი ლ.	სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ტენდენციები.		2018 თბ., თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი
დვალაშვილი ლ.	ეკოლოგიური და სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები.		2018 თბ., თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი
თეთრაული ც.	კრიპტოვალუტის ზოგიერთი საკითხი ინოვაციური ეკონომიკის პირობებში.		2018 თბ., თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი
თეთრაული ც.	ეკონომიკური უსაფრთხოების ძირითადი პრობლემები		2018 თბ., თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი
თოთლაძე ლ.	ტრანზაქციები უძრავ საცხოვრებელ ქონებაზე, როგორც წინმსწრები ეკონომიკური ინდიკატორი		I ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია, თბილისი, 14 სექტემბერი, 2018 წელი
თოთლაძე ლ. ხუსკივაძე მ.	DETERMINANTS OF HOUSE PRICES: THEORETICAL MODEL AND EMPIRICAL RESULTS		2018 თბ., თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი
კაკულია ე.	მცირე ბიზნესის განვითარების თანამედროვე ტენდენციები განვითარებულ ქვეყნებში.		2018 თბ., თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი
კაკულია ე.	მცირე ბიზნესი, როგორც ეკონომიკური უსაფრთხოების განვითარების სტრატეგიული რესურსი		2018 თბ., თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი
კვარაცხელია მ.	სიღარიბე და დასაქმების პრობლემები		2018 თბ., თსუ პ. გუგუშვილის

	საქართველოში.	სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი
კვარაცხელია მ.	ინოვაციური პოლიტიკა საქართველოში.	თსუ, თბილისი, 2018.
კურატაშვილი ა.	-	4-5 2018
კურატაშვილი ქ.	-	01.11.2018-28.12.2018
კვარაცხელია მ.	სიღარიბის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები.	ევროპის უნივერსიტეტი. თბილისი 2018.
ლაზარაშვილი თეა	ინოვაციებისა და ტექნოლოგიური განვითარების მაპროვოცირებელი ფაქტორები.	ევროპის უნივერსიტეტი. თბილისი 2018.
მელაშვილი მ.	მსოფლიოში საუკეთესო საგანმანათლებლო სისტემები და მათი განვითარების თანამედროვე ტენდენციები.	2018 თბ., თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი
მელაშვილი მ.	ეკონომიკური უსაფრთხოების ინფორმაციული ფაქტორები.	2018 თბ., თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი
პაპავა ვ. თაფლამე თ.	რატომ არ არის ინფორმაცია წარმოების ფაქტორი?	2018 თბ., თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი
პაპავა ვ.	ეკონომიკური მეცნიერების კრიზისი და ახალი პარადიგმის ძიება	14 სექტემბერი, თბილისი, ევროპის უნივერსიტეტი
პაპავა ვ.	”საქართველოს ეკონომიკური მოდელი: „სამომხმარებლო პარადოქსი“ და ”ტურისტული ხაფანგი“	26-27 ოქტომბერი, თბილისი, თსუ
ქავთარაძე თ.	მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციები	2018 თბ., თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი
ქავთარაძე თ.	სასურსათო უსაფრთხოების პრობლემები საქართველოში.	2018 თბ., თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი
ქველაძე ქ. ქისტაური ნ. მელაშვილი მ.	ტურიზმის განვითარების თანამედროვე ტენდენციები.	2018 თბ., თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი
ქველაძე ქ. ქისტაური ნ. მელაშვილი მ.	ეკონომიკური უსაფრთხოება ტურიზმის განვითარებაში	2018 თბ., თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი
ქველაძე ქ. ჩხეიძე თ.	ეკოლოგიური კატასტროფების პრევენციისათვის.	2018 თბ., თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი
ქისტაური ნ. მელაშვილი მ. ქველაძე ქ.	პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების თანამედროვე ტენდენციები.	2018 თბ., თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი
ქისტაური ნ. მელაშვილი მ. ქველაძე ქ.	ეკონომიკური უსაფრთხოება და მასზე მოქმედი ფაქტორები.	2018 თბ., თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი
ცუცქირიძე მ.	ბიზნესის განვითარების ტენდენციები და ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენების საკითხები	2018 თბ., თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი
ცუცქირიძე მ.	ბიზნესის უსაფრთხოების და ტექნოლოგიური განვითარების გლობალური ასპექტები	2018 თბ., თსუ პ. გუგუშვილის სახ. ეკონომიკის ინსტიტუტი

მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)

6. 2. უცხოეთში

№	მომხსენებელი/ მომხსენებლები	მოხსენების სათაური	ფორუმის ჩატარების დრო და ადგილი
1	აბესაძე რამაზი, ბურდული ვახტანგი	Problems of Management of the National Innovation System Formation of Georgia. ISBN 978-966-926-228-8	19-20 ი 2018 . .
2	აბესაძე რამაზი, ბურდული ვახტანგი	Problems of Management of the National Innovation System Formation of Georgia. ISBN 978-966-926-228-8	19-20 ი 2018. .
3	აბესაძე რამაზი, ბურდული ვახტანგი, ლაზარაშვილი თეა	339.9(06); 65.5 431	- - Dnipro, March 22-23, 2018.
4	ბურდული ვახტანგი, აბესაძე რამაზი	ISBN 978-966-136-444-7	" . - ", 2018
5	ბურდული ვახტანგი, აბესაძე რამაზი	.У Д К 316/352	- , 2018
6	ბურდული ვახტანგი	ISBN 978-617-645-292-8	, , 2018
7	თეა ლაზარაშვილი	საქართველოს ეროვნული ინოვაციური სისტემა და მსოფლიო გამოცდილება.	6-8 ივლისი, 2018, ათენი, საბერძნეთი
8	ბერულავა გიორგი (თანაავტ.)	A Theoretical Review of the Links between Social Capital, Innovation and Firms Performance	ISCBE'18, South East European University ტეტოვო, მაკედონია, 2018
9	თოთლაძე ლია	სპრედი, როგორც ეკონომიკური ინდიკატორი გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის: საქართველოს მაგალითზე.	6-8 ივლისი, 2018., ათენი, საბერძნეთი
10	კვარაცხელია მურმანი	ECONOMIC FREEDOM INDEX IN GEORGIA.	DEVELOPMENT 2018. Daugavpils universitates.
11	სიგუა გიორგი (თანაავტ.)	ISBN 978-966-136-593-2	, , 2018.
12	სიგუა გიორგი (თანაავტ.)	.ISBN 978-966-136-618-2	, , 2018.
13	კურატაშვილი ა.	-	- - 4-5 2018 .
14	კურატაშვილი ა.	-	. 25-26 , 2018

		« » -	
15	კურატაშვილი ა.	-	4-5 2018 .
მოხსენების ანოტაცია (საჭიროა იმ შემთხვევაში, თუ მოხსენება ფორუმის მასალებში არ გამოქვეყნებულა)			

სხვა სამუშაოები:

- I. გამოიცა:
 1. საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალ (რომელიც ინდექსირებულია ERIH OLUS-ში) „ეკონომისტის“ 4 ნომერი;
 2. „თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების კრებული“, ტ. XI;
 3. პროფ. გიორგი პაპავას დაბადებიდან 95-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციები“, 2018.
- II. ინსტიტუტში 2018 წელს სულ გამოიცა 115 ნაშრომი (4 დიგიტალური საიდენტიფიკაციო კოდით DOI, დანარჩენი ISSN ან ISBN ოდით), მათ შორის:
 1. კოლექტიური მონოგრაფია საზღვარგარეთ (1 თავი) – 1;
 2. წიგნი – 2;
 3. სახელმძღვანელო – 2;
 4. სტატიები იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში – 4;
 5. სტატიები ჟურნალებსა და სამეცნიერო შრომათა კრებულებში – 44
 - 5.1. საქართველოში – 40
 - 5.2. საზღვარგარეთ – 4
 6. სტატიები საერთაშორისო კონფერენციათა კრებულებში – 59
 - 6.1. საქართველოში – 44
 - 6.2. საზღვარგარეთ – 15
 7. სტატიები ეროვნულ კონფერენციათა კრებულებში – 3
- III. ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარდა:
 1. პროფ. გიორგი პაპავას დაბადებიდან 95-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებული „ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციები“, 2018;
 2. უნივერსიტეტის დაარსებიდან მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო ინტერნეტ კონფერენცია „ეკონომიკური უსაფრთხოების გლობალური და ეროვნული პრობლემები“;

3. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკონომიკურ სექციასა და ევროპის უნივერსიტეტთან ერთად ჩატარდა პირველი ეროვნული კონფერენცია თემაზე – „ეკონომიკური მეცნიერების კრიზისი და ახალი პარადიგმების ძიება“, 2018;
 4. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასთან ერთად ჩატარდა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, ემდ, პროფესორ ლეო ჩიქავას 90-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სხდომა (მომხსენებელი ემდ, პროფ. რამაზ აბესაძე);
 5. ინსტიტუტთან არსებული სადისკუსიო დარბაზის სხდომა, რომელზედაც მოსმენილი იქნა სამეცნიერო მოხსენება – „ეკონომიკური განვითარება და ეკონომიკური რეგრესი“ (მომხსენებელი ემდ, პროფ. რამაზ აბესაძე);
 6. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომები, რომელზედაც მოსმენილი იქნა 5 სამეცნიერო მოხსენება.
- IV. ინსტიტუტის ინიციატივით უნივერსიტეტში ეკონომიკური მეცნიერების დარგში დაარსდა პაატა გუგუშვილის სახელობის პრემია.
 - V. გაძლიერდა ჟურნალ „ეკონომიკის“ სამეცნიერო-სარედაქციო საბჭო უცხოელი წევრებით, მათ შორის არის გამოჩენილი მეცნიერ-ეკონომისტი, გაეროს უფროსი მრჩეველი, კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორი – ჯეფრი საქსი.
 - VI. გამოქვეყნდა 30-ზე მეტი საგაზეთო სტატია და ინტერვიუ, ასევე გადაიკა არაერთი სატელევიზიო ინტერვიუ.
 - VII. 2018 წელს რუსთაველის ფონდის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა ერთმა მეცნიერ თანამშრომელმა.
 - VIII. გრძელდება მუშაობა „დიდი ქართული ეკონომიკური ენციკლოპედიის გამოსაცემად“.
 - IX. ინსტიტუტის გამომცემლობის მიერ გამოიცა 2 კრებული, ჟურნალის 4 ნომერი.
 - X. გაძლიერდა საერთაშორისო ურთიერთობები საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან, კერძოდ: კოლუმბიის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტთან, აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტთან და სხვ.
 - XI. ინსტიტუტის თანამშრომლები არიან არაერთი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალისა და შრომათა კრებულების სარედაქციო კოლეგიის წევრები, სადისერტაციო და სამაგისტრო ნაშრომთა რეცენზენტები და სხვ.